სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

კობა ოკუჯავა

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ტოპონიმიის საკითხები



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

უაკ (UDC) 811.353.1'373.21(479.224)
ო – 428

ნაშრომში განხილულია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ქართული ტოპონიმიის საკითხები.

წიგნი განკუთვნილია საქართველოსა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ისტორიული ეთნოლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **თამაზ ბერაძე**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **პაატა ცხადაია**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გიორგი ქავთარაძე**

© ე. ოკუჯავა, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი", 2012

თბილისი, 0179, ი. ვაჩნაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E–mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-720-0

შესავალი

> ტოპონიმიკის მეცნიერული შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესმე მოსახლე ხალხის ისტორიული ცხოვრების გასაცნობად. ტოპონიმიკაში (ადგილთა სახელწოდებებში) ხშირად ასახულია ეთნონიმიკაც, ე.ი. იმ ტომთა სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამ ტერიტორიაზე.
>
> ***გიორგი ახვლედიანი***

სხვადასხვა დროის საისტორიო წყაროებში მდინარეებს ბზიფსა და ნიგეფსუხოს შორის ფიქსირებულია მრავალი ქართული ტოპონიმი, რაც ჩვენი მოსაზრებით მნიშვნელოვანი მასალაა საქართველოსა და საერთოდ დასავლეთ კავკასიის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესასწავლად.

აღნიშნული შუამდინარეთის დიდი ნაწილი, ტერიტორია საქართველოსაგან ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე ფსოუდან ვიდრე მდინარე ნიგეფსუხომდე რუსეთის სახელმწიფოს შემადგენლობაშია მოქცეული.

ეთნოლოგიური თვალსაზრისით დღეისათვის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი რუსეთია, თუმცა რუსები (და რუსულენოვანი ხალხები) რეგიონის ძირძველ მოსახლეობას არ წარმოადგენენ. XIX საუკუნის 60-იან წლებამდე ეს მხარე მკვიდრი კავკასიელებით, ადიღებით, უბიხებით და აბაზებით იყო დასახლებული. 1864 წელს რუსეთის იმპერიამ, დაასრულა რა კავკასიის დაპყრობა, ადგილობრივი მთიელების დიდი ნაწილი აჰყარა მშობლიური მიწიდან და ოსმალეთში გადაასახლა. სწორედ მუჰაჯირობის სახელით ცნობილი ამ პროცესების შემდეგ იწყებს რუსეთის სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ეთნიურ კოლონიზაციას. შავიზღვისპირეთის საკმაოდ ვრცელ მონაკვეთში ტამანის ნახევარკუნძულიდან ბზიფის ხეობამდე მუჰაჯირობას გადაურჩა მხოლოდ ადიღთა მცირე ნაწილი, რომელთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ტუაფსესა და ლაზარევსკოეს რაიონებში.

ჩვენი ინტერესი მდინარეებს ბზიფსა და ნიგეფსუხოს შორის მდებარე ტერიტორიის ისტორიული ტოპონიმიისადმი იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ეს მხარე ერთიანი ქართული მონარქიის ხანაში საქართველოს შემადგენლობაში შემოდიოდა. სწორედ მდინა-

რე ნიგეფსუხოს შესართავთან მდებარეობდა ცნობილი ქალაქი ნიკოფსი, ქართული საისტორიო წყაროების ნიკოფსია, ხოლო მდინარე ბზიფი ერთმანეთისგან მიჯნავდა ამავე სამეფოში შემავალ ორ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულს, ჯიქეთსა და აფხაზეთს.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ძველი ქართული საისტორიო ტრადიციით ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ეგროსის წილი ქვეყანა იყო და ისიც, რომ ანტიკური ხანის მრავალი ავტორი ამ ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ქართულ ტომებს აფიქსირებს. ყოველივე ეს აქაურ ისტორიულ ქართულ ტოპონიმიასთან ერთად მიუთითებს, რომ ანტიკურ ხანაში და უფრო ადრეც ქართულ ტომთა განსახლების არეალი, ისევე როგორც სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მხრითაც გაცილებით უფრო ვრცელი იყო ვიდრე მომდევნო საუკუნეებში.

საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება როგორც ანტიკურ, ასევე შუა საუკუნეთა და მომდევნო ხანის, ვიდრე XIX საუკუნის 60-იან წლებამდელ საისტორიო წყაროებში.[1]

უპირველეს ყოვლისა გვინდა აღვნიშნოთ გვიან ანტიკური ხანის ავტორების ფლავიუს არიანესა და V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის „პერიპლუსები", XIV-XVI საუკუნეთა ევროპელი გეოგრაფოსების კარტოგრაფიული მონაცემები (პორტოლანები), XVII საუკუნის ოსმალო მოგზაურის ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", XIX საუკუნის აფხაზი ავტორის ს.ზვანბას ნაშრომი „გაგრისა და ჯიქეთის შესახებ".

ფლავიუს არიანეს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" დაწერილია 131 წელს. ავტორი, რომაელი სახელმწიფო მოხელე და ისტორიკოსი, 131-137 წლებში კაპადოკიის მმართველი იყო. არიანეს „პერიპლუსი" არსებითად სამმართველო პროვინციის დათვალიერებისა და აქ მისი საქმიანობის ანგარიშია. ფლავიუს არიანემ თავად იმოგზაურა და დაწვრილებით აღწერა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ტრაპიზონიდან დიოსკურიამდე. რაც შეეხება მის ცნობებს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის შესახებ, ისინი შედგენილია სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით.[2]

ფლავიუს არიანეს მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათაგან ყურადღება

---

[1] გამოყენებული საისტორიო წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის სრულ სიას მკითხველი იხილავს ნაშრომის ბოლო გვერდებზე – კ.ო.

[2] იხ. ნ. კეჭაღმაძის კომენტარები წიგნში – ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. თბ., 1961, გვ. 5

გავამახვილეთ აბასკოსზე, მასაიტიკეზე და ძველ ლაზიკეზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტოპონიმი ძველი ლაზიკე, მდინარე ნიგეფსუხოს შესართავთან, რაც თავის მხრივ ამ მხარეში ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში ქართული მოსახლეობის არსებობაზე მიუთითებს. რამდენადაც თვით არიანეს ცნობებიდანაც ჩანს, მის დროს ქართულ ტომთა განსახლება ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით ვერ აღწევდა ძველ ლაზიკამდე, ე.ი. აქ ქართული მოსახლეობა უფრო ადრე, გვიან ანტიკურ ხანამდეა საგულვებელი.

V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის ნაშრომს „მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო" მკვლევარები თავდაპირველად არიანეს მიაწერდნენ. შემდეგში დადგინდა, რომ მის ავტორს V საუკუნეში უნდა ეცხოვრა. ამ უკანასკნელს არიანეს პერიპლუსის გარდა გამოყენებული აქვს ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. აღ. IVს) „პერიპლუსი", ფსევდო-სკიმნონის (ძვ.წ. აღ. II-Iსს) „პერიეგესისი" და მარკიანე ჰერაკლეელის (IV-Vსს) „პერიპლუსი", რომელიც თავის მხრივ მენიპე პერგამონელის (Iს) ნაშრომის „მოგზაურობა ხმელთაშუა ზღვის გარშემო" შემოკლებულ რედაქციას წარმოადგენს.[1]

საკითხთან დაკავშირებით V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსის ნაშრომიდან ინტერესს იწვევს ტოპონიმები: სტენიტიკე, აბასკი, ბასისი, ბაგა და ძველი ლაზიკე. სტენიტიკე და აბასკი არიანესეული ნიტიკე და აბასკოსია. ჩანს, რომ ანონიმის წყაროს ამ შემთხვევაში არიანეს თხზულება წარმოადგენს. ბასისი და ბაგა არიანესთან საერთოდ არ არის ნახსენები, ე.ი. V საუკუნის ანონიმს სხვა წყაროთი უსარგებლია. რაც შეეხება ძველ ლაზიკეს, V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსი ერთ-ერთ, კერძოდ XVII პარაგრაფში შინაარსობრივი თვალსაზრისით მთლიანად იმეორებს არიანეს ტექსტს ამ ქალაქის მდებარეობის შესახებ, თუმცა დამატებული აქვს, რომ მის დროს ძველ ლაზიკეს უკვე ნიკოფსისი ეწოდებოდა. ხოლო მორიგ, XVIII პარაგრაფში არსებული ცნობა წარსულში ძველ ლაზიკესა და მისი მიმდებარე მხარის ეთნოლოგიური ვითარების შესახებ არიანეს საერთოდ არ გააჩნია. ე.ი. V საუკუნის ანონიმს აქაც სხვა წყარო აქვს გამოყენებული, რაც თავის მხრივ ასევე ადასტურებს აქ ტოპონიმ ძველი ლაზიკის არსებობას და შესაბამისად ამ კუთხეში წარსულში ქართულ ტომთა განსახლებას.

ნიშანდობლივია, რომ აქვე, მდინარე ნიგეფსუხოს შესართავთან ახლოს, XIV-XVI საუკუნეთა პორტოლანებზე ფიქსირებულია ტოპონი-

[1] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976, გვ. 103

მი სანა /სანია, რაც ბუნებრივია, აშკარად დაკავშირებულია დასავლურქართულ ტოპონიმთან ზანა და დასავლურქართულ სატომო სახელთან ზანი.

შუა საუკუნეთა ევროპულ რუკებზე აგრეთვე აღნიშნულია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტოპონიმები: კინჭული, კაკარი და კოტოში, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით ასევე ქართული გეოგრაფიული სახელწოდებებია.

აღნიშნული ტოპონიმები ჩვენთვის ცნობილი გახდა შვეიცარიელი (წარმოშობით ფრანგი) გეოლოგის, ნატურალისტის და არქეოლოგის დიუბუა დე მონპერეს წიგნიდან „მოგზაურობა კავკასიის გარშემო",[1] და ბრუნის ნაშრომიდან „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ძველი პერიპლუსებითა და საკომპასო რუკებით",[2] რომლებშიაც სათანადოდ არის შესწავლილი ანტიკური და შუა საუკუნეების ევროპელი გეოგრაფოსების რუკები.

ოსმალო მოგზაურმა ევლია ჩელებიმ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი XVII საუკუნის 40-იან წლებში მოიარა. ამ მხარის შესახებ ცნობები დაცულია მისი „მოგზაურობის წიგნის" მეორე ტომში. კერძოდ, XXXIII თავში საუბარია აბაზას ქვეყანაში მოსახლე ტომების შესახებ.[3] სწორედ ამ თავშია ფიქსირებული ჩვენთვის საინტერესო ქართული ტოპონიმები: კაკრ, ხოფა, ლივში, უსუვიში და ა.შ. ამათგან კაკრ იგივე გაგრაა, შუა საუკუნეთა იტალიური რუკების კაკარი. ევლიას მიერ გაგრასთან ახლოს მოხსენიებული სოფელ ხოფას ლოკალიზაცია ვერ ხერხდება. ლივში, იგივე ლიაში მდინარე მზიმთის ზღვისპირა ველს ეწოდებოდა, ხოლო უსუვიში, უფრო ზუსტად სუბაშის ნავსადგური ამავე სახელწოდების მდინარის შესართავთან მდებარეობდა.

ს. ზვანბას ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომი „გაგრის და ჯიქეთის შესახებ" დაწერილია XIX საუკუნის 40-იანი წლების შუა ხანებში, როდესაც ავტორს ეკავა ჯიქეთის (საძეთის) „პრისტავის" თანამდებობა.[4] ეს გარემოება და ის ფაქტიც, რომ ავტო-

---

[1] Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. Сухуми, 1937. Frederic Dubois de Montpéreux. Voyage Autour du Caucase. T.I. Paris, 1839

[2] Ф.Брун. Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасовым картам. Черноморье. II. Одесса. 1880

[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბ., 1971

[4] იხ. გ.ძიძარიას შენიშვნები წიგნში С. Званба. Абхазские этнологические эпизады. Сухуми. 1982. გვ. 69-70. ამავე წიგნშია მოთავსებული ს. ზვანბას ნაშრომი О Гагре и Джигетах

რი თავადაც აფხაზი იყო, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს მის ცნობებს, საიდანაც საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე ტოპონიმი (წანდრიფში, მძიმთა, ლიაში, ბაღა, ხამიში) მოვიძიეთ. ბუნებრივია, ს. ზვანბას უკეთ შეეძლო ამ მხარის გეოგრაფიული სახელწოდებების უფრო ზუსტად გადმოცემა, ვიდრე უცხოელ ავტორებს.

დასასრულს გვინდა ავღნიშნოთ, რომ ჩვენი ნაშრომის ძირითადი მიზანია არა მასში ფიქსირებული ტოპონიმების სრული, საფუძვლიანი ეტიმოლოგიური ანალიზი, რაც ენათმეცნიერული კვლევის სფეროს წარმოადგენს, არამედ ამ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან დაკავშირებული ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების განხილვა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ტოპონიმიის საკითხები

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიულ ტოპონიმებს ამ მხარის ეთნოლოგიური საკითხების შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება. აღნიშნული რეგიონის მრავალი, საისტორიო წყაროებში მოხსენიებული გეოგრაფიული სახელი ქართულად იხსნება, ან ქართულ ელემენტს შეიცავს, რაც მასზე მიუთითებს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარკვეულ ნაწილში (კერძოდ მდინარეებს, ბზიფსა და ნიგეფსუხოს შორის მდებარე ტერიტორიაზე) ადიღ-აბაზთა განსახლებას წინ უსწრებდა ქართული ტომების მოსახლეობა.

ზემოთ აღნიშნულის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სხვადასხვა დროის საისტორიო წყაროებში ფიქსირებული შემდეგი გეოგრაფიული სახელწოდებები:

კაპოეტის წყალი. XVII-XIX საუკუნეთა ქართულ საისტორიო წყაროებში მდინარე ბზიფს კაპოეტის წყალი ეწოდება. მაგ., ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერიდან (XVIIს. I ნ.). ირკვევა, რომ მის ნაპირთან გამართულ ბრძოლაში ოდიშის მთავარ ლევან II-ს აფხაზი თავადები დაუმარცხებია. „კაპოეტის წყალზე შემოგუებნეს ზუფუარი და სიხუარი მარშანიები და გაგვემარჯუა“[1] - აღნიშნავს გამარჯვებული დადიანი.

ამ მდინარეს იხსენიებს ნიკო დადიანიც, 1821 წელს აფხაზეთის მთავრის ტახტისათვის გამართულ ბრძოლებთან დაკავშირებით - „წარვედით და კაპეტის წყალის პირსა ზედა დავებანაკეთ“.[2]

იგივე სახელწოდება უცხოურ წყაროებშიც გვხვდება. მაგ., გიულდენშტედტის ცნობით (XVIIIს. 70-იანი წლები) ბიჭვინთა მდებარეობს კაბეთის შესართავის სამხრეთ მხარეს და არის სასაზღვრო ადგილი ჯიქეთთან.[3]

ჰიდრონიმს კაპოეტის წყალი // კაპეტის წყალი საფუძვლად უდევს „კაპოეტ“ სიტყვის მეგრული ვარიანტები: კაბეტი // კაპეტი – კაპოეტი, დიდის, მძლავრის, დაუმორჩილებელის სემანტიკით.[4]

ნიშანდობლივია, რომ ვახუშტი ბატონიშვილს „კაპეტის წყა-

---

[1] კ. გრიგოლია. ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა. გვ. 157

[2] ნიკო დადინი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 152

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. I, გვ. 325

[4] მ. სალია. მეთევზეობის ლექსიკა ზანურში. გვ. 84

ლი“ აღწერილი აქვს როგორც „დიდი და ჩქარად მდინარე“.[1]

კოტოში. დიუბუა დე მონპერეს ცნობებიდან ირკვევა, რომ მდინარე ბზიფს სხვა სახელწოდებაც ჰქონია. ავტორის სიტყვებით „ბიჭვინთის კონცხს ზოგიერთ რუკაზე კოტოში ეწოდება. მდინარე კოტოში ანუ ბზიფი ზღვას ერთვის ბიჭვინთის კონცხის ჩრდილო-დასავლეთით 7 ვერსის მანძილზე. ის ადლერის კონცხის მიმართულებით საკმაოდ ძლიერ დინებას ქმნის, ამასთან კინჭულის წყალი გაგრის მიმართულებით საპირისპიროდ მოედინება, რომლის შემდეგაც კოტოშის დინება კინჭულისას უკან აბრუნებს“.[2]

შემდეგ მკვლევარს აღნიშნული აქვს, რომ „პატარა ბორცვების ჯაჭვი მდინარე კოტოშის აუზს მიჭიშაჩეს ხეობიდან გამოჰყოფს. ამ ბორცვებს შორის მდებარეობს სოფელი ბზიფი, საიდანაც მიიღეს სახელწოდება არა მარტო მდინარემ, არამედ ხეობამაც და ასევე აფხაზეთის ყველაზე დასავლურმა ტომმა.“[3].

იქვე, სქოლიოში დიუბუა დე მონპერეს მინიშნებული აქვს, რომ ამ მდინარეს კოტოში ეწოდება გოტიეს რუკაზე.[4]

ამრიგად, მდინარის სახელწოდება ბზიფი გვიანდელია. მანამდის მას ეწოდებოდა კაპპეტის (ან კაპოეტის) წყალი და კოტოში. ვფიქრობთ, რომ პირველი დამკვიდრებული უნდა ყოფილიყო ქართულ მწერლობაში, ხოლო მეორე, კოტოში – გავრცელებული მიმდებარე მხარის მოსახლეობაში.

სახელწოდება კოტოში წარმოებულია ზანურ-სვანური გეოგრაფიული სახელებისთვის დამახასიათებელი „-ში“ სუფიქსით (შდრ. ოდიში, ცაიში, წყოუში, ჯიხაიში, ადიში, ქუთეში, ხაიში...), რომელიც ქართული „-სი“ ბოლოსართის შესაბამისია (შდრ. თბილისი, ქუთაისი, ყინწვისი...) ძირი „კოტო“ მეგრულად ქოთანს ეწოდება და ბუნებაში აღნიშნავს ჩაღრმავებულ ადგილს მიწაში, ან მდინარის ფსკერზე. „კოტო“-დან მომდინარეობს სამეგრელოში დღესაც გავრცელებული ტოპონიმები და ჰიდრონიმები: კოტო, კოტორე/კოტორო,[5] კოტონყარი (←კოტოშწყარი) და კოტოში.[6]

ამრიგად, მდინარე ბზიფის ძველი ზანური სახელწოდება კოტო-

---

[1] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ. 785

[2] Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 100

[3] იქვე. გვ. 101

[4] Frederic Dubois de Montpereux. Voyage..., გვ. 219-221

[5] პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. გვ. 35

[6] პ. ცხადაია. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. გვ. 97, 128. გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. გვ. 163

ში ლანდშაფტურ-ჰიდროგრაფიული ტერმინია, აქაური ბუნებრივი პირობების სრული შესაბამისი.

რაც შეეხება მდინარის ამჟამინდელ სახელწოდებას „ბზიფი". მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ის დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან „ბზები".[1] გამოთქმულია ასევე მოსაზრება, რომ ჰიდრონიმი მომდინარეობს უბიხური სიტყვიდან „ბზე" - წყალი, ხოლო „-ფ" ელემენტი აფხაზურ-ადიღეურ ენებში გავრცელებული ტოპონიმური სუფიქსია.[2]

თუ გავითვალისწინებთ დიუბუა დე მონპერეს ცნობას, რომ მდინარემ სახელწოდება მისსავე ნაპირზე მდებარე სოფლის, ბზიფის სახელიდან მიიღო, სრულიად საფუძვლიანი ჩანს ტოპონიმის ს. ჯანაშიასეული ეტიმოლოგია: ბზიფ ანუ მდინარის შესართავი. ე.ი. ბზიფი ჯერ ადგილს ეწოდებოდა მდინარის შესართავთან, ხოლო შემდეგ მისგან ჰიდრონიმი ჩამოყალიბდა.[3]

კორაქსი. II საუკუნის გეოგრაფოსის, კლავდიოს პტოლემაიოსის მიხედვით კოლხეთის საზღვარი დიოსკურიიდან ჩრდილო-დასავლეთით, მდინარე კორაქსზე გადიოდა.[4]

პტოლემაიოსის ნაშრომის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა სტრაბონის გეოგრაფია, რომელშიც დიოსკურია და პიტიუნტი კოლხეთშია მოქცეული.[5] აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მდინარე კორაქსი იგივე ბზიფია, პიტიუნტიდან დასავლეთით ჩამავალი, ხოლო იმავე პტოლემაიოსის მიერ მოხსენიებული კორაქსის მთა,[6] ცხადია, ბზიფის ქედი იქნება.[7]

კორაქსი მდინარისა და მთიანეთის გარდა ტომის სახელწოდებაც იყო. მაგ., ფსევდო-სკილაქს კარიანდელის (ძვ.წ.აღ. IVს.) პერიპლუსში კორაქსები მოხსენიებულია კოლხებისგან (რომელთაც ეკუთ-

---

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 149. გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. მნათობი, 1957, №2, გვ. 110.

[2] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. მნათობი, 1956, №12, გვ. 133

[3] ს. ჯანაშია. ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. გვ. 121

[4] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". გვ. 45

[5] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 121

[6] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". გვ. 43

[7] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, გვ. 164

ვნოდათ ქალაქი დიოსკურისი) დასავლეთით, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მოსახლე ჰენიოხებსა და კოლებს შორის,[1] ხოლო ჰეკატეოს მილეტელის (ძვ.წ. Vს.) ცნობით კორაქსები კოლხთა ტომი იყო, კოლების მეზობლად.[2] აქვეა ფიქსირებული კორაქსების კედელი და კორაქსიკეს მხარე.

„კორაქსი" ამ ტომის სახელწოდების ბერძნული გადმოცემაა. ადგილობრივ უნდა ყოფილიყო კორახი// კორხი, რომელიც თავის მხრივ „კოლხი"-ს ვარიაციას წარმოადგენს. ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული აგრეთვე კორაქსების მეზობელი კოლების სახელიც. სიტყვა „კოლხი"-ს რომ საკვეცი „-ხი" მოვაცილოთ, დაგვრჩება „კოლ", იგივე კოლა, იმ ქვეყნის სახელი, საცა მტკვრის სათავეა.[3]

გასათვალისწინებელია პომპონიუს მელასა[4] და პლინიუსის[5] ცნობებიც, რომ მდინარე მტკვარი მოედინება კორაქსთა მთებიდან, ე.ი. იმ კუთხიდან, რომელსაც ქართული წყაროები კოლას უწოდებენ. გარდა ამისა, „კორაქს"-ს ისეთივე „კორ" ძირი გააჩნია, როგორიც სტრაბონის გეოგრაფიაში მოხსენიებულ მტკვრის ძველ სახელწოდება „კოროს"-ს.[6]

ტოპონიმები და ეთნონიმები კორაქსი, კოროსი, კოლა, კოლხი საერთო კორ/კოლ ძირიდან მომდინარეობენ. „რ" და „ლ" ბგერათმონაცვლეობა ქართულ ენებში არც თუ იშვიათია. შდრ. ქართული „გული", „თხილი", „წყალი" - მეგრული „გური", „თხირი", „წყარი" ან კიდევ საკუთრივ ზანურში: მეგრული „ოხორასქილი" – ჭანური „ოხორასქირი" (ცოლის ძმა), მეგრული, „ჩერტი" - ჭანური „ჩელტი" (ჩელტი)[7] და ა.შ.

ამრიგად, ჰიდრონიმი კორაქსი ანტიკურ ხანაში ბზიფის ხეობასა და მიმდებარე მხარეში მოსახლე კორაქსების სახელთან არის დაკავშირებული. ეს იყო ერთ-ერთი დასავლურქართული, კოლხური ტომთაგანი, მაგრამ არა საკუთრივ კოლხები, ვინაიდან საისტორიო წყაროებში (ფსევდო-სკილაქსის, პლინიუსის[8] და V საუკუნის ანონიმის[9] ნაშრომებში) ისინი ცალ-ცალკე არიან მოხსენიებულნი.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, გვ. 47
[2] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა". გეორგიკა, III, გვ. 280
[3] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 397, 403
[4] В. Латышев. Известия ..., т.II, в. I, გვ. 125
[5] იქვე, გვ. 181
[6] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 127
[7] ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. გვ. 22, 137
[8] В. Латышев. Известия..., Т. II, в. I, გვ. 178, 179
[9] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 93

აქვე გვინდა შევეხოთ დიუბუა დე მონპერეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის თანახმად მდინარე კორაქსი იგივე კოდორია და შესაბამისად, კორაქსები მოსახლეობდნენ ამ მდინარის ხეობაში. მკვლევარი შეცდომაში შეიყვანა კოდორის შესართავთან, აღმოსავლეთით მდებარე კონცხის სახელწოდებამ ისკურია (იგივე სკურჩა) და მიიჩნია, რომ ანტიკური ქალაქი დიოსკურია სწორედ აქ მდებარეობდა. აქედან გამომდინარე დიუბუა დე მონპერე ასკვნიდა, რომ პტოლემაიოსის მიერ დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით აღნიშნული მდინარე კორაქსი კოდორია, მის ხეობაში მცხოვრები კორაქსები – ნებელდელები, კორაქსის მდინარესთან ახლოს ფიქსირებული „ძლიერი კედელი" — კელასურის კედელი.[1]

კლავდიოს პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოში" კარგად ჩანს, რომ მდინარე კორაქსი (კორაკოსი) დიოსკურიის ჩრდილო-დასავლეთით მოედინება და ამავე მდინარის გადაღმაა „ძლიერი კედელი", (კარტერონ ტეიხოსი)[2] რომელიც სრულიად შესაძლებელია ჰეკატეოსისეული კორაქსთა კედელია. ამრიგად, კორაქსთა ტომის ლოკალიზაცია, უპირველეს ყოვლისა პტოლემაიოსისა და ფსევდო-სკილაქსის ცნობების გათვალისწინებით, დიოსკურიისგან ჩრდილო-დასავლეთით, დაახლოებით ბზიფის ხეობასა და მის მიმდებარე მხარეში უნდა მოხდეს და არა აწინდელი აფხაზეთის ცენტრალურ ნაწილში.*

კინჭული. დიუბუა დე მონპერე მდინარე კოტოშისგან (ბზიფისგან) დასავლეთით აღნიშნავს მდინარე კინჭულს. ავტორის ცნობები, რომ კოტოშსა და კინჭულს საპირისპირო დინებები აქვთ,[3] რომ ადლერის კონცხი ერთმანეთისაგან გამოყოფს კინჭულისა და კამუშელარის (ხამიშის) ყურეებს,[4] მიგვანიშნებს, რომ კინჭული იგივე მდინარე ფსოუა, უფრო ზუსტად ამ მდინარის ადრინდელი სახელწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ჰიდრონიმის ეტიმოლოგია გაურკვეველია, აშკარად თვალშისაცემია მისი ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის

---

[1] Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 145-148

[2] ნ. ლომოური. კლადიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო", გვ. 43

* ანტიკური ხანის წყაროებში „კორაქსი" სხვადასხვა მხარეს არის ფიქსირებული, მდინარე მტკვრის სათავეებში, დიოსკურიისგან ჩრდილო-დასავლეთით, თვით დიოსკურიაშიც, მაგრამ არა კოდორის ხეობაში. – კ.ო.

[3] Frederic Dubois de Montpereux. Voyage..., T.I. გვ. 219. Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 100

[4] იქვე, გვ. 92

დამახასიათებელი -ულ//-ურ სუფიქსით წარმოება. (შდრ., ტყიბული, მერხეული, ხარაგაული...). გარდა ამისა, -ულ//-ურ ბოლოსართი მთელი რიგი ქართული გვარების მაწარმოებელია (შდრ. ხოშარაული, გაფრინდაული, ბურდული...).

ჰიდრონიმ კინჭულთან არის დაკავშირებული ჯიქ აზნაურთა გვარსახელი კინწა, რომლებიც ს. ზვანბას მიხედვით, მდინარე ფსოუს ნაპირას მდებარე სოფელ ბაღრიფშში ცხოვრობდნენ.[1] თავის მხრივ ის ფაქტიც, რომ გვარი კინწა ფსოუს ხეობაში მოსახლეობს, დიუბუა დე მონპერესეული მდინარე კინჭულისა და ფსოუს იგივეობაზე მიუთითებს.

ამრიგად, მდინარე ფსოუს ძველი სახელწოდება კინჭულია, რომლის ძირიც შემორჩენილი იყო ჯიქ აზნაურთა ერთ-ერთ გვარსახელში – კინწა.

არ არის გამორიცხული, ჯიქური გვარსახელი კინწა და ჰიდრონიმი კინჭული რომ ეტიმოლოგიურად დაკავშირებული იყოს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ გვარსახელებთან: კინწეისქუა და კინწურაშვილი.

მდინარე კინჭულის ამჟამინდელი სახელწოდება ფსოუ ეთნოჰიდრონიმია, დაკავშირებული აწინდელი აფხაზების ენდოეთნონიმთან აფსუა.[2] როგორც ს. ჯანაშიას მიერ ყუბანისპირეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებიდან ჩანს, ჩრდილოკავკასიელი აბაზები (ან მათი ნაწილი) აფსუებს მოიხსენიებენ სახელით აფსოუ.[3] სრულიად შესაძლებელია, რომ მდინარის სახელწოდება კინჭული „ფსოუ"-თი ამ მხარეში დასავლურქართული ტომების ნაცვლად აფსუების დამკვიდრების შედეგად შეცვლილიყო.

ჰიდრონიმ „ფსოუ"-ს ეტიმოლოგიის დადგენა ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს, მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ პ. ინგოროყვას მიხედვით „ფსოუ" ქართული „ფასი"-დან მომდინარეობს,[4] ხოლო ხ. ბღაჟბას თანახმად „ფსოუ" ადიღეურად სწრაფ, ჩქარ მდინარეს ნიშნავს.[5]

გაგრა. ს. ზვანბას,[6] დიუბუა დე მონპერეს[7] და XIX საუკუნის სხვა

---

[1] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 9

[2] Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. გვ. 357

[3] ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 101

[4] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 186

[5] Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ. 133

[6] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 5

[7] Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 95, 100

ავტორთა ნაშრომებში ჯიქეთთან დაკავშირებით ტოპონიმი გაგრა ხშირად იხსენიება. კიდევ უფრო ადრე, კერძოდ, XVII საუკუნეში ცნობა მის შესახებ გააჩნია ევლია ჩელების, რომელიც „აბაზური ტომის“, მთის ჩანდების მიწაზე აფიქსირებს ნავსადგურს სახელწოდებით კაკრ.[1]

შ. ინალ-იფას „გაგრა“ მიუხედავად იმისა, რომ არ განმარტავს „გაგ“ ძირს, ისევე როგორც „-რა“ სუფიქსიანი სხვა ტოპონიმები (ეშერა, აჟარა, ათარა...) აფხაზურად მიაჩნია.[2] მისი მოსაზრების საპირისპიროდ თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ „-რა“ ბოლოსართიანი ტოპონიმები უხვად მოიძებნება სვანეთშიც და „გაგრა“-ს ქართული წარმოშობისად მიიჩნევს, აკავშირებს რა ტოპონიმს მცენარე კაკლის ხესთან, უფრო ზუსტად, ნიგზვნარის სვანურ სახელწოდებასთან გაკრა.[3]

სვანურში მართლაც გაკ//კაკ ნიგოზს, კაკალს და კაკლის ხეს აღნიშნავს. კაკლის ხეს აღნიშნავს ასევე სიტყვა გაკრა.[4]

სახელწოდებაში „გაგრა“ სუფიქსი „-რა“ ქართული მცენარეული სახელების (კენკრა, ძიგრა, გვიმრა...) მაწარმოებელია, რომელიც ძირითადად სვანურშია შემორჩენილი (წიფრა – წიფელა, ზესხრა – ცაცხვი, ჰებრა – ბალი...).[5] გარდა ამისა, „-რა“ ბოლოსართი დამახასიათებელია მთელი რიგი სვანური გეოგრაფიული სახელებისათვის: ნენსკრა, ნაკრა, ღვებრა, მულხრა და ა.შ.[6]

ტოპონიმი გაგრა ისევეა ნაწარმოები, როგორც საქართველოში გავრცელებული გეოგრაფიული სახელწოდებები: ცხუმი, წნორი, ჭანდარი, ცხემნა, ცხაცხუ, იფხი და სხვა, რომლებიც მომდინარეობენ მცენარეთა სახელებიდან, მხოლობითი რიცხვის ფორმით, ყოველგვარი მატოპონიმებელი აფიქსის გარეშე.[7]

შუა საუკუნეთა იტალიურ რუკებზე გაგრა აღნიშნულია ფორმით „კაკარი“.[8] სახელწოდებაში „კაკარი“, „-არ“ ელემენტი ან ქართული „კაკ-ალ“ ფუძის „ალ“ სუფიქსის სვანური შესატყვისია, ან სვანუ-

---

[1] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. 6.I, გვ. 100

[2] Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. გვ. 378

[3] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა..., გვ. 272

[4] ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. გვ. 163

[5] ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. გვ. 376

[6] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. გვ. 123, 184

[7] თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში. გვ. 87-88

[8] Ф.Брун. Восточный берег Черного моря ..., გვ. 257

რის მრავლობითობის „არ“ ბოლოსართი. (შდრ. ცხუმ-ცხუმარი).[1]

ბუნებრივია, სვანური ტოპონიმის „გაგრა“//„კაკარ“-ის არსებობა ამ მხარეში, ე.ი. გაგრის ქედზე წარსულში სვანურენოვანი ტომის განსახლებაზე მიუთითებს, რაც საისტორიო წყაროებითაც დასტურდება. მაგ., სტრაბონის ცნობით დიოსკურიის მახლობლად კავკასიონის ქედები სვანებს ეპყრათ,[2] ხოლო II საუკუნის გეოგრაფოსის კლავდიოს პტოლემაიოსის თანახმად ჰენიოხებსა და ლაზებს შორის სუანოკოლხები ცხოვრობდნენ.[3]

ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებების თანახმად, სუანოკოლხი მეგრელთა და მათ მიერ დაპყრობილ სვანთა შერწყმის შედეგად ჩამოყალიბებული ტომია,[4] ან კიდევ, სვანთა ის ნაწილი, რომელიც კოლხეთში ცხოვრობს.[5] ნებისმიერ შემთხვევაში სახელწოდება სუანოკოლხი სვანურ ტომთან არის დაკავშირებული.

პტოლემაიოსის მიხედვით კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში ლაზები მოსახლეობდნენ, ხოლო თვით კოლხეთი დიოსკურიისგან ჩრდილო-დასავლეთით ფიქსირებული მდინარე კორაქსით აქვს შემოსაზღვრული.[6] მდინარე კორაქსი იგივე ბზიფია. ამრიგად, პტოლემაიოსის სუანოკოლხები მდინარე ბზიფის გადაღმა, გაგრის ქედზე უნდა ვიგულვოთ, სადაც შემდეგში, შუა საუკუნეთა და მერმინდელ საისტორიო წყაროებში ცნობილია ტოპონიმი კაკარი // გაგრა.

ამავე ტოპონიმთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვა მოსაზრებაც არსებობს, რომლის თანახმად „გაგრა“ მომდინარეობს „გაგარი“-დან, რაც ძველ ქართულში გასასვლელს ნიშნავდა. უძველესი დროიდან აქ ერთადერთი გასასვლელი იყო, რომელიც ამ სექტორში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ორ მხარეს ერთმანეთთან აკავშირებდა.[7]

გაგიდა. აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე 1812 წელს ზუფუდან მთავარმართებელ პაულუჩისადმი გაგზავნილ წერილში იტყობინება, რომ მან ჯიქი თავად ლეონ წანუბაია იმპერატორის ერთგულე-

---

[1] თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში. გვ. 90

[2] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 125-126

[3] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. გვ. 43, 45

[4] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 422

[5] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 161

[6] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, გვ. 43,45

[7] თ. ბერაძე. „გაგარი“ და „უღაღის“ განმარტებისათვის. გვ. 122

ბაზე დააფიცა. წერილში აღნიშნულია – „თავად წანუბაიას სასახლე მთის ძირას, ზღვის ნაპირთან ახლოს დგას, სადაც ბრწყინვალე ნავსადგურია. მისი მეთვალყურეობისთვის აშენებული აქვს ქვის კოშკი, რომლის ირგვლივაც კედელია შემოვლებული. ამჟამად იქ არავინ არ ცხოვრობს. ჩემი აზრით, ეს უნდა მოხსენდეს ხელმწიფეს, რადგან ჯერ ერთი – აქ შეიძლება თავი შეაფარონ გემებმა, მეორე – ამ ადგილებში გემის ასაგებად საჭირო ხეები იზრდება, მესამე – თუ აქ ხელმწიფის ჯარი ჩადგება, შესაძლებელი გახდება ჯიქეთის თემების მომხრობა და დამორჩილება. ამ ადგილსა და ნავსადგურს ეწოდება გაგიდა, რომლის იქით ლეონ წანუბაიას სამფლობელოა, ხოლო აქეთ – ჩემი".[1]

გაგიდა როგორც ჩანს მდებარეობდა მდინარე გაგრიფშის შესართავთან, გაგრიდან აღმოსავლეთით.

ვფიქრობთ, რომ ტოპონიმში გამოიყოფა ძირი „გაგ", ისევე როგორც სახელწოდებებში: გაგრიფში, გაგი (ისტორიული სოფელი ციხესიმაგრითურთ სამხრეთ საქართველოში), გაგურა და გაგიწყუ (ზემო სამეგრელოში).[2] დღეს გალის რაიონში, მდინარე ერწყარის შესართავთან, პატარა ტბას, ასევე მდინარეს და მასზე მდებარე სოფელს გაგიდა ჰქვია.[3] ოდიშის ეს სოფელი, ზუსტად ამ სახელწოდებით (გაგიდა) XVII საუკუნის I ნახევარში მოხსენიებული აქვს იტალიელ მისიონერს არქანჯელო ლამბერტის.[4] ეს გარემოება კი გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მდინარე გაგრიფშის და მდინარე ერწყარის შესართავებთან ცნობილი ტოპონიმები გაგიდა ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა რიგს მიეკუთვნება.

ხოფა. მოხსენიებული აქვს ევლია ჩელების – „ჩანდები... მამაცი ტომია. წმინდა აბაზები* ესენი არიან. ამათ უწოდებენ მთის ჩანდებს.

---

[1] Г. Шарвашидзе. Письмо к маркизу Паулучи, от 8-го января 1812 года, გვ. 100.

[2] გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 122, 154

[3] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. გვ. 41

[4] არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. გვ. 55

* აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით მოგზაურობისას ევლია ჩელები სამეგრელოს დასავლეთით ასახელებს „ჩაჩის აბაზურ ტომს", რომლებიც მეგრულადაც ლაპარაკობდნენ. ჩაჩის ტომში, ანუ საშარვაშიძეოში (რომელიც ამ დროისთვის მოიცავდა მიწა-წყალს დაახლოებით მდინარე ბზიფსა და ანაკოფიას შორის) მეგრულადაც ლაპარაკი ამ ტერიტორიაზე აფხაზებთან ერთად მეგრელთა მოსახლეობაზე მიუთითებს (იხ. კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002, გვ. 55). გარდა ამისა, აქაურ აფხაზებს მეგრულიც ჰქონდათ შეთვისებული. ისინი ამ დროს ორენოვანნი იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით გაგრის ქედზე მცხოვრებ ჯიქებზე. სწორედ ამიტომ უწოდებს მათ ევლია ჩელები ჩაჩებისგან განსხვავებით წმინდა აბაზებს. – კ.ო.

მათ ნავსადგურს ეწოდება კაკრ. მთაზე, ზღვისკენ მიქცეულ მხარეს ბაღ-ვენახიანი სოფელია, სახელად ხოფა".[1]

ამრიგად, ევლიასეული ხოფა გაგრის ქედზე მდებარეობდა. სახელწოდება ხოფა საქართველოში (და მის ფარგლებს გარეთ) სხვაგანაც გვხვდება, მაგ., ხოფი – სოფელი გუდაუთასთან, ხობი (//ხოფი) – მდინარე და მის ნაპირას მდებარე ქალაქი სამეგრელოში, ხოფა – ქალაქი ლაზეთში. ეტიმოლოგიურად ამავე „ხოფ"-თან არის დაკავშირებული გვარები: ხოფერია და ხობელია.

გუდაუთასთან მდებარე სოფლის სახელი ხოფი აფხაზურად გამოითქმის როგორც ხუაფ/ხვაფ. ხ. ბღაჟბა ტოპონიმში გამოყოფს აფხაზურ-ადიღეური გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელ „-ფ" ელემენტს და სიტყვის პირველი ნაწილის, „ხუა"-ს განმარტების გარეშე, მას ისეთ სახელთა რიგს მიაკუთვნებს, როგორიცაა „ბზიფ", „ფშაფ" და ა.შ.[2] შ. ინალ-იფასაც ხვაფი აფხაზურ სახელწოდებად მიაჩნია, ისევე როგორც ხოფა-ლაზეთში და ხობი – სამეგრელოში,[3] თუმცა სიტყვის ეტიმოლოგიის საკითხს არ ეხება.

ჩვენი მოსაზრებით, სახელწოდებაში „ხოფი" (ხოფა, ხუაფ, ხვაფ) „ფ" ასო-ნიშანი ძირეულია და არა ტოპონიმური სუფიქსი. ევლია ჩელების მიერ გაგრის ქედზე ფიქსირებული ტოპონიმი ხოფა იგივე ხოფი//ხობი-ა, რაც მეგრულად ნიჩაბს ჰქვია[4] და ბუნებრივ პირობებში ასახავს ჩაღრმავებულ ადგილს. (შდრ. ტოპონიმი ნიჩბისი მცხეთასთან). სამეგრელოში ხობის გარდა, მარტვილთანაც გვხვდება სახელები ხობა და ხობაიონი, რომლებიც ამ ადგილებს ხრამიანი მდებარეობის გამო ეწოდებათ.[5]

წანდრიფში – ეწოდებოდა ჯიქეთის ერთ-ერთ სათავადოს ზღვისპირეთში, მდინარეებს მეხადირსა და ჟოაძეხს შორის, რომელსაც წანბების საგვარეულო განაგებდა.[6] ამ მხარეში XVII საუკუნის 40-იან წლებში ოსმალო მოგზაური ევლია ჩელები ასახელებს დიდი ჩანდების აბაზურ ტომს და ჩანდის ნავსადგურს.[7]

პ. ინგოროყვას მიხედვით „ჩანდა" სატომო სახელწოდება „ცან"-

---

[1] ევლია ჩელების „მოგზაურების წიგნი". ნ.I, გვ. 100

[2] Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ. 134

[3] Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. გვ. 387

[4] И. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматиею и словарем. გვ. 610

[5] გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. გვ. 167, 173

[6] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 11

[7] ევლია ჩელების „მოგზაურების წიგნი". ნ.I, გვ. 101

იდან მომდინარე ქართული გეოგრაფიული სახელის „ცანთა"-ს (ანუ ცანების) თურქული ფორმა იყო.[1]

„ცან" ძირი საქართველოს სხვა ტოპონიმებშიც გვხვდება, მაგ., ცანას მთა – სვანეთში, სადაც სათავე აქვს მდინარე ცანისწყალს (ცხენისწყალს). თუმცა მიგვაჩნია, რომ სახელწოდება „ჩანდა"-ს ადგილობრივი ფორმა არა „ცანთა", არამედ „წანთა" იყო, რაზედაც აშკარად მიუთითებს ამ მხარეში წარსულში ცნობილი გვარსახელი წანბა (ქართული ფორმით წანუბაია), ამ საგვარეულოს სამფლობელოს სახელი წანდრიფში, აფხაზური თქმულება წანებზე* და დღესაც არსებული ჰიდრონიმი წანდრიფში, იგივე სანდრიფში, რომელიც ხაშუფსეს მარცხენა შენაკადია.[2] სწორედ ამ მდინარის შესართავთან მდებარეობდა ევლიასეული ჩანდას, ე.ი. წანთის ნავსადგური.

„წანთა", „წანბა" და „წანდრიფში" დაკავშირებულია დასავლურქართულ სატომო სახელთან წანი, ისევე როგორც ტოპონიმები წენწყარი (ჭანისწყალი) და წალენჯიხა (←წენჯიხა) ზემო სამეგრელოში.

ჩვენი მოსაზრებით, იგივე „წანი" ფიგურირებს V საუკუნის ანონიმის თხზულებაში მოხსენიებულ „სტენიტიკე"-ში, პიტიუნტიდან ასორმოცდაათი სტადიონის დაშორებით.[3] ზუსტად ამავე ადგილას II საუკუნის რომაელი ავტორი ფლავიუს არიანე, რომლის ნაშრომზეც არის დამოკიდებული V საუკუნის ანონიმის ცნობები, ასახელებს სტენიტიკეს მსგავს სახელწოდებას „ნიტიკე".[4] როგორც ჩანს „ნიტიკე" იგივე „სტენიტიკე"-ა, „წან"-თან დაკავშირებული, მხოლოდ არიანეს (ან შესაძლოა გადამწერის) შეცდომის წყალობით დამახინჯებულად გადმოცემული. გარდა ამისა, არ არის გამორიცხული შეცდომით იყოს გადმოცემული თვით „სტენიტიკე"-ც და მის ნაცვლად ყოფილიყო „ტსენიტიკე", რომლის პირველი ნაწილი „ტსენ" კიდევ უფრო ახლოს დგას „წან"//„წენ"-თან.[5]

შემდეგში, როდესაც ეს ადგილები დასავლურქართული ტომების ნაცვლად ჯიქებმა დაიკავეს, „წან"-ისგან ჩამოყალიბდა ტოპონი-

---

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 153

* თქმულებაში საუბარია აფხაზეთის მთიანეთში მცხოვრები წანების შესახებ, რომლებიც ღმერთმა უსჯულობისთვის გაანადგურა. – კ.ო.

[2] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. გვ. 149

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 92

[4] იქვე, გვ. 52

[5] ამ ფაქტს პ. ინგოროყვამაც მიაქცია ყურადღება, თუმცა მკვლევარი „სტენიტიკე"-ს არა წან/წენ-თან, არამედ ცან/ცანით- თან აკავშირებდა – კ.ო.

მი წანთა, გვარის სახელი წანბა, მდინარისა და სამფლობელოს სახელწოდებები წანდრიფში.

ტოპონიმი წანთა წარმოებულია აფხაზური გეოგრაფიული სახელწოდებებისთვის დამახასიათებელი „-თა“ სუფიქსით (შდრ. გუმისთა, გუდაუთა, მზიმთა...) და ამავე ენაზე ნიშნავს წანების ხეობას, ხოლო წანდრიფში – წანების სამფლობელოს.[1]

ს. ჯანაშიას მიხედვით, აფხაზებს მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე, წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა, ერთი მხრით სვანური შტოსი, მეორე მხრით ჭანურ-მეგრულისა. გადმოცემაში წანების შესახებ, სწორედ ამ ფაქტის ანარეკლი გვაქვს. წანი ამ შემთხვევაში მეგრულ-ჭანურ ფენას გულისხმობს. ეს იყო ერთ-ერთი ტომთაგანი ჭანურ-მეგრული განშტოებისა, და არა საკუთრივ ზანები (დღევანდელი მეგრელები) და ან მითუმეტეს ჭანები.[2]

ამრიგად, აფხაზური გადმოცემა წანების შესახებ, გვარსახელი წანბა, ტოპონიმები: სტენიტიკე, ჩანდა (←წანთა), წანდრიფში, ნათლად მიუთითებენ ამ მხარეში წარსულში ერთ-ერთი დასავლურ ქართული ტომის, წანების განსახლებაზე, რომლებიც ჩვენი მოსაზრებით შემდეგში აქ დამკვიდრებულ ჯიქებს უნდა შერწყმოდნენ.

საკითხთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს აგრეთვე ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმული მორიგი მოსაზრება – „წანი სანიგს ხომ არ უდრის?“[3]

„წანი“, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მეგრულ-ლაზურში „წ“ და „ჭ“ ბგერათა მონაცვლეობა ჩვეულებრივია[4], არის იგივე „ჭანი“, რომელიც სანების მერმინდელი სახელწოდება იყო,[5] ხოლო სანები (როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ) სანიგებადაც იწოდებოდნენ. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ „წან“-ისგან ნაწარმოებ ქართულ „წანარ“-ს „სან“-ისგან მომდინარე უცხოური წყაროების „სანარი“ შეესაბამება.[6]

ამრიგად, ტოპონიმ წანდრიფშის, ანუ სანდრიფშის ძირი წან//სან დაკავშირებულია მეგრულ-ჭანური ტომების სახელთან, რომელთაც ამ მხარეში გვიან ანტიკურ ხანაში და შემდეგშიც სანიგები ეწოდებოდათ.

---

[1] Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ. 137
[2] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 15
[3] იქვე, გვ. 16
[4] იქვე, გვ. 18,32
[5] პროკოფი კესარიელი. De Bello Cothico – გეორგიკა, II, გვ. 90
[6] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 28

სანიგები საისტორიო წყაროებში ძველი და ახალი წელთა აღრიცხვის მიჯნიდან სჩანან. პირველად მათ იხსენიებს ძველი ბერძენი ავტორი მემნონი, დაახლოებით დიოსკურიის მხარეში, ლაზების მეზობლად.[1] შემდეგში სანიგებს, ასევე დიოსკურიის (სებასტოპოლისის) მიდამოებში მოიხსენიებს I საუკუნის ავტორი გაიუს პლინიუს სეკუნდუსი.[2]

მემნონისა და პლინიუსისგან განსხვავებით, II საუკუნის რომაელ მოხელეს, ფლავიუს არიანეს აღნიშნული აქვს სანიგეთის საზღვრებიც, კერძოდ, მათ ეკავათ საკმაოდ ფართო ტერიტორია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, მდინარე აქეუნტიდან მოყოლებული დიოსკურიის, ე.ი. თანამედროვე სოხუმის სანახების ჩათვლით.[3]

V საუკუნის ანონიმის ცნობით, სანიგთა მიწა-წყალი მნიშვნელოვნად არის შემცირებული და მოიცავს მხოლოდ შუამდინარეთს აბასკსა და აქეუნტს შორის.[4]

V საუკუნის I ნახევარში სანიგეთი ლაზიკის გავლენის ქვეშ არის მოქცეული.

VI საუკუნის შუა ხანებში, ეგრისში მიმდინარე დიდი ომიანობის ჟამს ბიზანტიის იმპერიამ თავისი პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე სანიგეთი აბაზგიას შეუერთა, რის შემდეგაც მათი სახელი პოლიტიკური სარბიელიდან გაქრა, თუმცა, ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ სანიგების ეთნიური ერთეული არ განაგრძობდა არსებობას თავის საცხოვრის ადგილებში.[5]

უკანასკნელად კი საისტორიო წყაროებში სანიგთა სახელი ფიქსირდება თამარ მეფის ისტორიკოსის ნაშრომში,[6] XII საუკუნის II ნახევარში საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

სანიგების ეთნიური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრება არსებობს, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. მკვლევართა ერთი ნაწილი მათ აფხაზურ-ადიღეურ მოდგმისად მიიჩნევს, ხოლო მეორე – დასავლურქართულ, უფრო ზუსტად სვანურ, ან ზანურ ტომად.

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 170, 171

[2] В.Латышев. Известия.... т. II, в. I. გვ. 179

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა.... , გვ. 43, 52

[4] იქვე, გვ. 92

[5] დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 151, 166

[6] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 49

ნ. ვოლკოვას (რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ეთნონიმებს „სანიგი“ და „ჟანა“) სანიგი ერთ-ერთი ადიღეური ტომის, ჟანას წინაპრებად მიაჩნია.[1]

ა. დიაჩკოვ-ტარასოვის მიხედვით სანიგები ერთ-ერთი აფხაზური ტომის, საძების წინაპრები იყვნენ.[2]

შემდეგში ეს მოსაზრება გაიზიარა ზ. ანჩაბაძემ, უპირველეს ყოვლისა იმ გარემოების გამო, რომ არიანესა და V საუკუნის ანონიმის ნაშრომებში სანიგები ლოკალიზებულნი არიან იქ, სადაც გვიან შუა საუკუნეებში საძები ცხოვრობდნენ.[3]

შ. ინალ-იფას მიხედვით „ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჩამოყალიბდნენ მსხვილი აფხაზური ტომობრივი კავშირები: აბაზგები, აფსილები, მისიმიანები და სანიგები. ეს უკანასკნელნი სავარაუდოდ საძების წინაპრებია.[4] ... „სანიგი“ ჟღერს სახელწოდებებში „სანდი“ და „ჭანდი“ (შაფსუღურად შანდ) ანუ ერთ-ერთი აფხაზური ტომის საძის სახელში“.[5]

აღნიშნულ მოსაზრებებთან დაკავშირებით გვინდა შევნიშნოთ, რომ: I. სანიგები და ჟანები ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში და სხვადასხვა ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ, პირველნი მდინარე შახესგან აღმოსავლეთით (გვიან ანტიკურ და ადრეულ შუა საუკუნეებში) ხოლო მეორენი – მდინარე ნიგეფსუხოს ხეობასა და მიმდებარე მხარეში (გვიან შუა საუკუნეებში). გარდა ამისა, თუ შესაძლებელია სახელწოდებების სანიგისა და ჟანას ერთმანეთთან დაკავშირება, მით უფრო თვალშისაცემია „სანიგი“-ს ეტიმოლოგიური კავშირი სანთა ტომის სახელთან. ხოლო სანები უფრო ადრინდელი წყაროებით იგივე მაკრონები იყვნენ[6], უფრო გვიანდელი ცნობებით – ჭანები.[7] II. ის ფაქტი, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთსადაიმავე ტერიტორიაზე ანტიკურ ხანაში სანიგები ცხოვრობდნენ, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში საძები, სრულებით არ გამოდგება მათი ეთნოგენეტიური ნათესაობის არგუმენტად, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ ათ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში (რაც ქრონოლოგიურად აშორებს ერთმანეთს სანიგებსა და საძებს) ჩრდილო-დასავლეთ

---

[1] Н.Волкова. Этнический состав населения северного Кавказа..., გვ. 27

[2] ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. გვ. 75

[3] З. Анчабадзе. Очерк этнической истории Абхазского народа. გვ. 35

[4] Ш. Инал-ипа. Абхазы. გვ. 30

[5] იქვე, გვ. 97

[6] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 203

[7] პროკოფი კესარიელი. De Bello Cothico – გეორგიკა, II, გვ. 90

კავკასიაში მიმდინარე ეთნოლოგიურ, უპირველეს ყოვლისა მიგრაციულ პროცესებს. III. უსაფუძვლოა აგრეთვე მოსაზრება, თითქოს „სანიგი“ ჟღერს სახელწოდებაში „საძი“. ანტიკურ ხანაში აქ რომ მართლაც საძებს ეცხოვრათ, ძველ ბერძენ ავტორებს ხომ თავისუფლად შეეძლოთ გადმოეცათ მათი სახელწოდება ფორმით „საძ“-ი.[1]

ზემოთ აღნიშნულ ავტორთაგან განსხვავებით, ი. ორბელი ეთნონიმების „ჰენიოხი“ და „სანიგი“-ს ანალიზის საფუძველზე ასკვნიდა, რომ სანიგები იგივე სანები ანუ სვანები იყვნენ.[2]

გ. მელიქიშვილი არ იზიარებდა მოსაზრებას სანიგებისა და სანების იგივეობის შესახებ, რაც „შეიძლებოდა ამ სახელების გარეგნული მსგავსების გამო წარმოშობილიყო“,[3] მაგრამ სანიგებს მკვლევარი სვანური წარმოშობისად თვლიდა.[4] მისი სიტყვებით – „ანტიკური წყაროების მიხედვით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ორი ძირითადი ეთნიური ჯგუფი ცხოვრობდა: კოლხები (ლაზები) და ჰენიოხები (სანიგები), რაც მასზე უნდა მიუთითებდეს, რომ ამ სახელთა ქვეშ იგულისხმებოდნენ აქ შემდეგშიაც მცხოვრები ქართული ტომები: მეგრელები და სვანები.[5]

თ. მიბჩუანის მიხედვით „ის ფაქტი, რომ I-II საუკუნეთა ავტორები: პლინიუსი, არიანე და მემნონი ადლერსა და სოხუმს შორის სანიგებს ასახელებენ, ხოლო მათი თანამედროვე პტოლემაიოსი სანიგების ნაცვლად ხმარობს ტერმინს „სუანოკოლხები“, ამასთანავე, VIII საუკუნის "სომხეთის გეოგრაფიაში„ აღნიშნულ ტერიტორიაზე სანიგების ნაცვლად რომ ისევ სვანები არიან მოხსენიებულნი, სანიგთა სვანური წარმომავლობის სასარგებლოდ მეტყველებს.“[6]

პტოლემაიოსის ცნობასთან დაკავშირებით — „პონტოს გასწვრივ ცხოვრობენ ახეები, კერკეტები, ჰენიოხები და სუანოკოლხები“[7] — ს. ჯანაშია მიიჩნევდა, რომ „შესაძლოა თავდაპირველად „სუანოკოლხების“ ნაცვლად „სანოკოლხები“ წერებულიყო. ასეთ შესწორებას ის საფუძველიც ექნებოდა, რომ თავის ადგილს დაუბრუნებდა მოცემული ტერიტორიის ძირითად ტომს, ძველ კოლხებს, პტოლემაი-

---

[1] ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან. გვ. 32

[2] И. Орбели. Город близнецов Диоскурия... გვ. 213

[3] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 91

[4] იქვე, გვ. 92

[5] იქვე, გვ. 93

[6] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა..., გვ. 94

[7] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, გვ. 45

ოსის დროინდელ სანებს, რომელნიც წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად მოუხსენიებელნი დარჩებოდნენ."[1]

გვინდა აღვნიშნოთ, რომ პტოლემაიოსს სრულებითაც არ გამორჩენია კოლხები. II საუკუნის გეოგრაფოსი სუანოკოლხებისგან სამხრეთით, კოლხეთის ტერიტორიაზე ლაზებს იხსენიებს, ხოლო სახელწოდება ლაზი, როგორც კარგად ჩანს ეს V საუკუნის ანონიმისა[2] და პროკოფი კესარიელის[3] ცნობებში, სწორედ კოლხების აღმნიშვნელი იყო.

რაც შეეხება „სუანოკოლხი"-ს კავშირს „სანიგ"-თან. პტოლემაიოსის ცნობაში კარგად ჩანს, რომ საუბარია შავიზღვისპირეთში მცხოვრებ ერთ-ერთ ტომზე, სუანოკოლხებზე, ხოლო არიანეს პერიპლუსში, სადაც სანიგთა ტომია დაფიქსირებული, კარგად ჩანს ისიც, რომ ავტორი აღნიშნავს მათსავე პოლიტიკურ ერთეულსაც, რომზე დამოკიდებულ სანიგთა „სამეფოს", საკუთარი „მეფით" და „სამეფოს" საზღვრებით მდინარე აქეუნტიდან ვიდრე დიოსკურიის ჩათვლით.[4] ამდენად, სრულიად საფუძვლიანია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ სანიგეთის „სამეფოს" აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობა ახლოს იდგა სვანურ ეთნიურ სამყაროსთან და ენათესავებოდა კიდეც დიოსკურიის ზემოთ მდებარე მთებში მცხოვრებ სვანთა მრავალრიცხოვან ტომებს. ხოლო სანიგეთის დასავლეთ ნაწილში უპირატესად განსახლებულნი უნდა ყოფილიყვნენ მეგრულ-ზანური ტომები, რომლებიც ნამყვან როლს ასრულებდნენ როგორც სანიგთა პოლიტიკური ერთეულის შექმნაში, ისე მის შემდგომ ცხოვრებაში.[5]

ამრიგად, სუანოკოლხი და სანიგი ერთ პოლიტიკურ ერთეულში, სანიგეთში მცხოვრები ორი სხვადასხვა, თუმცა ახლო მონათესავე ტომი იყო.

სანიგების ეთნიური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით უპირველეს ყოვლისა გასათვალისწინებელია იპოლიტე რომაელის (IIIს.) ცნობა: სავნები, ეგრეთწოდებული სანიგები, გადაჭიმულნი არიან ვიდრე პონტომდე, იმ ადგილამდე, სადაც არის აფსარის გასასვლელი (და სებასტოპოლისი) ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი.[6]

ერთი შეხედვით შეიძლებოდა იპოლიტესეულ სავნებში სახელ-

---

[1] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 7

[2] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 88

[3] პროკოფი კესარიელი. De Bello Cothico – გეორგიკა, II, გვ. 90

[4] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა...., გვ. 43, 52

[5] მ. ინაძე. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა. გვ. 161

[6] იპოლიტე რომაელი. იხ. – გეორგიკა, I, გვ. 20

წოდება სვანი დაგვენახა, მაგრამ მის ცნობაში კარგად ჩანს, რომ აქ დაახლოებით კოლხეთის მიწა-წყალია მოხაზული. ე.ი. ავტორის მიხედვით „სანი“ არის კოლხეთის ძირითადი მოსახლეობის სახელწოდება და იგივე ხალხი „სანიკ“-ადაც იწოდება.[1]

იპოლიტე რომაელის ცნობას იმეორებს ევსევი კესარიელიც (260-340წ.წ.) – „... სანნები, რომელთაც სანიგები ეწოდებათ, ვრცელდებიან პონტომდე, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლისი და მდინარე ფაზისი“.[2]

იპოლიტე რომაელის, ევსევი კესარიელის და სხვა ავტორთა ცნობებზე დაყრდნობით ს. ჯანაშია ასკვნიდა, რომ „სანიგები ყოველთვის დაკავშირებულნი არიან სებასტოპოლის-ცხუმთან, თანამედროვე აფხაზეთთან და საერთოდ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროსთან. ამიტომ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ „სანიგი“ არის „სანი“-სავე ფუძიდან ნაყარი ვარიანტული სახელწოდება იმ მეგრული მოდგმის ტომისა, რომლის არსებობა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, აქ აფხაზთა დამკვიდრების უწინარეს, უეჭველობით არის საგულისხმებელი.“[3]

ამრიგად, სანიგი დასავლურქართული, უფრო ზუსტად ერთერთი ზანური (სანური) ტომი იყო. ამგვარი დასკვნის საშუალებას გვაძლევს შემდეგი არგუმენტები:

I. იპოლიტე რომაელისა და ევსევი კესარიელის ცნობებით სანიგები იგივე სანები არიან.

II. ეთნონიმში „სანიგი“ აშკარად გამოიყოფა ძირი „სანი“, ერთერთი დასავლურქართული ტომის სახელწოდება.

III. „სანიგ“-თან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული „ზან“ სვანურში სამეგრელოს ნიშნავს (სვანეთის ზოგიერთ თემში - მეგრელსაც), „მზან“ - მეგრელს, ხოლო ზანარ – მეგრელებს.[4]

მზიმთა. ს. ზვანბას ცნობით ჯიქეთის ყველაზე დიდ მდინარეს მძიმთა ეწოდება.[5]

ხ.ბღაჟბას მიხედვით, ჰიდრონიმი მზიმთა (მძიმთა) ამ მდინარის ხეობაში წარსულში მცხოვრები ჯიქური თემის მზიმაა-ს (მძაას) სახელიდან მომდინარეობს. აქვე მკვლევარი ერთმანეთს უკავშირებს სახელწო-

---

[1] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი...., გვ. 9

[2] ევსევი კესარიელი. ქრონიკები. გეორგიკა, I, გვ. 32

[3] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი...., გვ. 11

[4] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 12, ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი, გვ. 250, 251. 586

[5] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 7

დებებს „მზიმთა“ და „მისიმიანე“ – „მისიმიანები ცხოვრობდნენ აბსილებისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდინარე კოდორის ზემო წელზე და მათი ნათესავები იყვნენ. ეს ეთნონიმი საისტორიო წყაროებში ჟღერს როგორც მისიმიანე. ფონეტიკურად დასაშვებია „მიზიმიანე“. ძირი „მიზიმ“ შემონახულია აფხაზურ ჰიდრონიმში მზიმთა (მიზიმ-თა). მართალია, ძველი ავტორების თანახმად მისიმიანები კოდორის ხეობაში ცხოვრობდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ შეეძლოთ ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით გადანაცვლებულიყვნენ“.[1]

იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსაზრება ეთნონიმ „მისიმიანი“-ს „მზიმთა“-სთან ეტიმოლოგიური კავშირის შესახებ ჯერ კიდევ XIX საუკუნის II ნახევარში ბრუნს,[2] ხოლო შემდეგში დიაჩკოვ-ტარასოვს[3] ჰქონდათ გამოთქმული, თანაც ორივე ავტორი ამ სახელწოდებებს (მისიმიანი, მზიმთა) V საუკუნის ანონიმის პერიპლუსში მოხსენიებულ, მდინარე აბასკიდან თორმეტი მილით დაშორებულ მდინარე მიძიგის სახელს უკავშირებდა.

„მზიმთა“-ს („მძიმთა“-ს) ეტიმოლოგიური კავშირი „მიძიგ“-თან სავსებით რეალური ჩანს, თუმცა მათი დაკავშირება „მისიმიან“-თან და ამ უკანასკნელის ჯიქურ-აფხაზურ ეთნონიმად მიჩნევა მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ამ ეთნონიმის წარმოება, როგორც ეს პ. ინგოროყვამ შენიშნა, ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი „მ-“ თავკიდურით (შდრ. მ-არგალი, მ-აკრონი, მჯ-შუან) და „-ანი“ სუფიქსით (შდრ. ფასიანი). თვით მისიმიანთა ენა მკვლევარს მიაჩნდა ან სვანურად, ან ადგილობრივ მისიმიანურ დიალექტად, რომელიც უნდა წარმოშობილიყო სვანურისა და მეგრულის შერწყმის შედეგად.[4]

მისიმიანების ეთნიური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, რომ ამ ტომის სახელწოდება უნდა ყოფილიყო მჯშიანი, რაც უნებურად გვაგონებს სვანის სახელწოდებას სვანურად (მჯშუან). მაშასადამე, მისიმიანთა ტომი უნდა ყოფილიყო სვანთა ერთ-ერთი ტომი, დანარჩენი სვანებისგან თავისი ყოფა-ცხოვრებით იმდენად განსხვავებული, რომ ბიზანტიელები მათ განსხვავებული სახელით იხსენიებდნენ.[5]

---

[1] Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ. 144

[2] Ф.Брун. Восточный берег Черного моря..., გვ. 257

[3] ა.დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. გვ. 67

[4] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 145

[5] ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. გვ. 280

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ შ. ინალ-იფას მისიმიანები არა სვანურ, არამედ ერთ-ერთ აფხაზურ ტომად მიაჩნდა – „თუ მისიმიანები სვანები იყვნენ, რაში დაჭირდა აგათია სქოლასტიკოსს სვანთა ერთი ნაწილის საერთო სახელწოდებით – „სვანი"-თ აღნიშვნა, ხოლო მეორე ნაწილისა კი მათი თვითსახელწოდებით – „მუშვან", საიდანაც თითქოს მომდინარეობს „მისიმიანე". ბიზანტიელებმა მისიმიანებთან აფსილები მიტომ გაგზავნეს, რომ ისინი ერთმანეთის ნათესავები იყვნენ და არ განსხვავდებოდნენ ურთიერთისგან ენითა და წეს-ჩვეულებებით. მათ ერთმანეთში მთარგმნელი არ სჭირდებოდათ."[1]

სამწუხაროდ, შ. ინალ-იფამ ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ხშირად ერთსადაიმავე საისტორიო წყაროში ცალ-ცალკე არიან ფიქსირებულნი ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით ახლო მონათესავე ტომები. გავიხსენოთ თუნდაც ფლავიუს არიანეს მიერ კოლხების, სანების, მაკრონების, ლაზების და სანიგების ცალ-ცალკე მოხსენიება.[2] გარდა ამისა, ბიზანტიელთათვის ენგურისა და ცხენისწყლის ხეობებისაგან განსხვავებით კოდორის ხეობა უფრო ახლოს და ხელმისაწვდომი იყო. შესაბამისად, აქაურ მოსახლეობას უკეთ იცნობდნენ, ვიდრე დანარჩენ სვანებს. ამიტომაც არც არის გასაკვირი ბიზანტიელ ავტორებს კოდორის ხეობის სვანები საკუთარი სახელით რომ აღენიშნათ.

აღსანიშნავია, რომ ს. ყაუხჩიშვილი საისტორიო წყაროების ანალიზის შედეგად ეჭვობდა კიდეც ამ ტომის სახელწოდებად „მისიმიან"-ის არსებობას და ქვეყნის აღმნიშვნელ სახელად ბერძნულ „მივსსიანე"-ს, ხოლო თვით ხალხისა - „მივსსიანოი" ფორმებს მიიჩნევდა, რომლებსაც სვანთა ენდოეთნონიმთან აკავშირებდა.[3]

ჩვენი მხრივ გვინდა დავძინოთ, რომ სვანთა თვითსახელწოდება „მჷშუან"-თან კიდევ უფრო ახლოს დგას „მისიანოი" - ფიქსირებული აგათიას ნაშრომის ერთ-ერთ ვარიანტში[4] და „მისსიანე" - სვიდას ლექსიკონში.[5] მათში „ს" და განსაკუთრებით „სს" თანხმოვნები ბერძნულისთვის უცხო „შ"-ს უნდა გამოხატავდნენ, რის შემდეგაც მივიღებთ „მიშიანე" / „მიშიანოი"-ს, რომლებიც სრულიად აშკარად ჩანან

---

[1] Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. გვ. 231-232

[2] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 42-43

[3] ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. გვ. 280

[4] აგათია სქალასტიკოსი. „იუსტინიანეს მეფობის შესახებ". გეორგიკა, III, გვ. 154

[5] სვიდას ლექსიკონი. გეორგიკა. IV, 2, გვ. 320

სვანური „მჳშუან“-ის ბერძნულ გადმოცემად.

ბიზანტიური წყაროების მისიმიანები (თუ მისიანები), რომ დასავლურქართული, სვანური ტომი იყო, მოწმობს კოდორის ხეობის ძველი ტოპონიმური მასალაც. ცნობილია, რომ XIX საუკუნის II ნახევარში, აფხაზთა მუჰაჯირობის შემდეგ სვანეთიდან კოდორის ხეობაში ჩასახლებულთ იქ მრავალი სვანური ტოპონიმი (დალი, გენწვიში, ლაკადა...) დახვდათ,[1] რაც ბუნებრივია ამ კუთხეში აფხაზთა უწინარეს სვანურენოვანი ტომების განსახლებაზე მიუთითებს.

ამრიგად, ჰიდრონიმი მზიმთა (მძიმთა) ამ მდინარის ხეობაში წარსულში მცხოვრები ჯიქური (საძური) თემის მზიმაას (მძაას) სახელიდან მომდინარეობს და მათსავე ენაზე მზიმაას (მძაა-ს) ხეობას ნიშნავს, ხოლო მისიმიანი / მისიანი ბერძნულად გადმოცემული ერთერთი დასავლურქართული ეთნონიმია, მდინარე კოდორის ხეობაში ადრეულ შუა საუკუნეებში (და სრულიად ბუნებრივია რომ უფრო ადრეც) მცხოვრები სვანური ტომის აღმნიშვნელი.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ აგათია სქოლასტიკოსის ცნობა მისიმიანების (მისიანების) და აფშილების ნათესაობის შესახებ[2] ამ უკანასკნელთა ასევე ქართულ წარმომავლობაზე მეტყველებს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ პტოლემაიოსის „გეოგრაფიულ სახელმძღვანელოს“,[3] რომელშიც ტერიტორია, სხვა ავტორთა მიერ აფშილეთად მოხსენიებული, ლაზებით დასახლებულ ქვეყნად არის აღწერილი.

ბასისი. V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსის მიხედვით „მდინარე აქეუნტი (იწოდება ბასისად და) ძიქებსა და სანიხებს შუა არის“.[4]

აქეუნტი, იგივე ბასისი ანტიკურ ხანაში ეწოდებოდა მდინარე სუბაშს, ან შახეს.[5]

„ბასისი“ ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან: ბაში (ზუგდიდთან და სამტრედიასთან), ფასი[6] (რიონის სათავეებში), ფაზისი (რიონისა და ფოთის ძველი სახელწოდება) ბასიანი (დვალეთსა და მდინარე არაქსის სათავეებში). ამ უკანასკნელის ფონეტიკური ნაირსახეობა „ფასიანი“ ადრე ანტი-

---

[1] თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა..., გვ. 131

[2] აგათია სქოლასტიკოსი. „იუსტინიანეს მეფობის შესახებ“. გეორგიკა, III, გვ. 162

[3] ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი. „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. გვ. 45

[4] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 92

[5] Ф.Брун. Восточный берег Черного моря ...., გვ. 258

[6] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. გვ. 33, 70, 168

კურ ხანაში ქართულ ტომებს ეწოდებოდათ, მდინარე არაქსის ზემო წელსა და რიონის ველზე მცხოვრებთ.[1]

ჰიდრონიმის ძირი „ბას"//„ფას" საფუძვლად უდევს სიტყვა „ფასის"-ს, რომელიც რამდენიმე მდინარის (რიონის, ჭოროხის, არაქსის) სახელწოდება, ხოლო თვით ფასი თავდაპირველად ზოგად წყლის, მდინარის აღმნიშვნელი იყო. ამ სიტყვის საკუთარ სახელად გადაქცევა მისი ისტორიის შემდგომ ეტაპს უნდა ასახავდეს.[2]

რაც შეეხება ჰიდრონიმ ბასისის ბოლოსართს, „-ის"-ი ბერძნულად გადმოცემული ზანურ-სვანური ტოპონიმების მაწარმოებელი „-იშ" სუფიქსია.

ამრიგად, V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსის პერიპლუსში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ფიქსირებული ჰიდრონიმი ბასისი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიულად ცნობილ თუ თანამედროვე, „ბას"//„ფას" ძირიან გეოგრაფიულ სახელწოდებათა რიგს მიეკუთვნება.

აბასკი. ფლავიუს არიანეს სანიგეთში მოხსენიებული აქვს მდინარე სახელწოდებით აბასკი – „ნიტიკიდან მდინარე აბასკოსამდე ოთხმოცი სტადიონია".[3] არიანეს ტექსტს იმეორებს V საუკუნის ანონიმიც – „სტენიტიკიდან მდინარე აბასკამდე ოთხმოცი სტადიონია, თორმეტი მილი".[4]

სამეცნიერო ლიტერატურაში ზუსტად ვერ არის გამორკვეული თუ რომელ მდინარეს ეწოდებოდა აბასკი. მკვლევართა ვარაუდით ეს უნდა იყოს ბზიფი,[5] ან ფსოუ,[6] ან კიდევ მზიმთა.[7]

მდინარე აბასკს ბზიფთან ვერ გავაიგივებთ, ვინაიდან არიანეს და ანონიმს ის ბიჭვინთიდან (პიტიუნტიდან) საკმაოდ შორს აქვთ დასახელებული.

მიგვაჩნია, რომ მდინარე აბასკი მზიმთა უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში მდინარე მის ნაპირებზე მდებარე ქალაქთან, ან სოფელთან ერთად ერთსადაიმავე სახელს ატარებს. XVII საუკუნის 30-იან წლებში კაფის პრეფექტი ემიდიო დორტელი დასკოლი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოგზაურობისას იხსენიებს ქალაქ აბასას და ყუ-

---

[1] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი". გვ. 113, 114

[2] იქვე, გვ. 125

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა...., გვ. 52

[4] იქვე, გვ. 92

[5] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 98

[6] Ф.Брун. Восточный берег Черного моря..., გვ. 258

[7] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 177

რადღებას ამახვილებს მის სავაჭრო მნიშვნელობაზე. ოდნავ მოგვიანებით, ამავე მხარეში მყოფი ევლია ჩელები აღწერს ართლარის ნავსადგურს და აქ წარმოებული ვაჭრობის შესახებ ისევე ამახვილებს ყურადღებას, როგორც ემიდიო დორტელი დასკოლი აბასასთან დაკავშირებით. ართლარი კი მდინარე მზიმთის შესართავთან მდებარეობდა. ტოპონიმი დაკავშირებულია აბაზური თემის, ართის სახელთან. მათ ნავსადგურს თურქები უწოდებდნენ ართლარს (ართლარ), საიდანაც ჩამოყალიბდა ქალაქის ამჟამინდელი სახელწოდება ადლერი.[1]

ამ მხარეში რომ ეს ქალაქი მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა, ჩანს ნევსკის ცნობიდანაც. „ადლერის კონცხზე, სამხედრო ბანაკსა და ნავსადგურის ნანგრევებს შორის მდებარეობდა ქალაქი, რომელიც დაარსებული იყო სხვადასხვა ხალხის ვაჭრების მიერ. აქ იყვნენ ბერძენი, თურქი, ქართველი, ებრაელი, სომეხი და გერმანელი ვაჭრებიც კი."[2]

ადლერის სავაჭრო მნიშვნელობა იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ის ერთგვარ გზაჯვარედინზე მდებარეობდა, აკავშირებდა რა ერთმანეთთან ერთი მხრივ დასავლეთ ჯიქეთს მის აღმოსავლეთ ნაწილთან და აფხაზეთთან, მეორე მხრივ, ამ ნავსადგურის მეშვეობით მოვაჭრენი უკავშირდებოდნენ მზიმთის ხეობას, შემდეგ კი მდინარეების, ბელაიას და ლაბას სათავეებიდან ჩერქეზეთში გადადიოდნენ. ჩერქეზების, აგრეთვე საძების სავაჭრო კავშირები ართების ნავსადგურთან კარგად ჩანს ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნშიც.[3] მდინარე ფსოუს შესართავთან კი საისტორიო წყაროებში ამგვარი მნიშვნელობის პუნქტი არ დასტურდება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ართლარი (ადლერი) და აბასა მდინარე მზიმთის შესართავთან მდებარე ქალაქის ორი სახელწოდება იყო, პირველი თურქული, ხოლო მეორე – ევროპელთათვის ცნობილი.

საფიქრებელია, რომ XVII საუკუნის ავტორმა ემიდიო დორტელი დასკოლიმ ამ ქალაქს აქ ჩამდინარე მდინარის ანტიკური სახელწოდების „აბასკი"-ს გამო უწოდა აბასა.

სახელწოდება აბასკით გვიან ანტიკური ხანიდან ცნობილია აგრეთვე ერთ-ერთი ტომი დასავლეთ საქართველოში.

თუ ვინ იყვნენ ეთნოლოგიური თვალსაზრისით ანტიკური ხანის აბასკები, გადაჭრით რაიმე დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, ვინაი-

---

[1] იქვე, გვ. 154.
[2] П. Невский. Закубанский край в 1864г. Кавказъ. 1868. №101
[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნ.I, გვ. 101,102

დან არ არსებობს მონაცემები მათი ენის შესახებ და არც რაიმე მითითება გაგვაჩნია მათი ეთნიური კუთვნილების შესახებ (ისეთი მაგალითად, როგორიც არის იპოლიტე რომაელისა და ევსევი კესარიელის ცნობები, რომ სანები სანიგებადაც იწოდებოდნენ).

ისტორიოგრაფიაში არსებული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, აბასკი ძველი აფხაზური ანუ აფსუური ტომი იყო, რომელიც სათავეში ედგა მონათესავე ტომების კონსოლიდაციის, ერთიანი ფეოდალური აფხაზი ხალხის ფორმირებისა და ახალი ქვეყნის, აფხაზეთის ანუ აფსნის ჩამოყალიბების პროცესს, რაც VIII საუკუნის მიწურულს აფხაზეთის სამეფოს წარმოქმნით დასრულდა.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად საფუძვლიანად არის მითითებული, რომ VIII საუკუნის დასასრულს აბასკების მეთაურობით ჩამოყალიბდა არა აფსნი, არამედ აფხაზთა სამეფო — დასავლურქართული სახელმწიფო.[2]

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტები, რომ: I. ეთნონიმი აბასკი ძველი, საერთო ქართული „-კი" („-გი", „-ხი") სუფიქსით არის წარმოებული (შდრ. მუსკი, მოსინიკი). II. აბასკები ამ ტერიტორიაზე ზანურ-სვანური ტომების მემკვიდრეებად გამოდიან, თანაც არიანეს პერიპლუსის თანახმად (რომელშიაც ისინი პირველად არიან ფიქსირებულნი) მოსახლეობენ დასავლურქართულ ტომთა, სანიგებსა და აფშილებს შორის.[3] III. ეთნონიმ აბასკს რომ სუფიქსი „-კი" მოვაცილოთ, დაგვრჩება „აბას", რომლის ფონეტიკური ნაირსახეობა აბაშა დღესაც ცნობილი ტოპონიმია დასავლეთ საქართველოში, მომდინარე წყლის, წყაროს აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვიდან ფშა.[4]

„აბასკი" შესაძლოა დაკავშირებული იყოს ჩრდილოკავკასიურ ეთნონიმთან აბაზა, თუმცა გამოსარკვევია, ეს უკანასკნელი არის თუ არა ამ ხალხის ძველისძველი სახელწოდება, ვინაიდან ეთნოლოგიურ ისტორიაში ერთი ხალხიდან მეორეზე ეთნონიმის გადატანის მრავალი ფაქტია ცნობილი.

ზემოთ აღნიშნულ არგუმენტებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ აბასკების სახელთან დაკავშირებული მდინარე აბასკი, როდესაც პირველად ფიქსირდება საისტორიო წყაროში (არიანეს პერიპლუსში) მოედინება დასავლურქართული ტომის, სანიგთა

---

[1] Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. გვ. 272

[2] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.VIII, თბ., 1990, გვ. 590

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 43

[4] კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. გვ. 60-61

მიწა-წყალზე, შეიძლება ითქვას, რომ ჰიდრონიმი აბასკი ეტიმოლოგიური თვალსაზრისით დაკავშირებული უნდა იყოს ისეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან, როგორებიცაა: აბაშა, ბაში, ფასი, ფაზისი, ბასისი, ბასიანი და ა.შ.

ლიაში. ს. ზვანბას ცნობით „მდინარე მძიმთის ზღვისპირა ველს ლიაში ეწოდება".[1] ამ ადგილებში ევლია ჩელები იხსენიებს ლივშის ნავსადგურს,[2] ხოლო ნორდმანს აქ მდებარე სოფლის სახელწოდება გადმოცემული აქვს ფორმით ლიავშ.[3] ვფიქრობთ, რომ ლივში და ლიავში სახელწოდება ლიაშის დამახინჯებული ფორმებია. ბუნებრივია, აფხაზი ავტორი უფრო სწორად დააფიქსირებდა ტოპონიმს, ვიდრე უცხოელები, მით უფრო, რომ ს. ზვანბა XIX საუკუნის 40-იან წლებში იყო ჯიქეთის პრისტავი და სვიატიო დუხის (ადლერის) კომენდანტი.

ზემოთ აღნიშნულს კიდევ უფრო ამყარებს რუსეთის არმიის შავიზღვისპირა სასაზღვრო ხაზის მეთაურის, რაევსკის 1839 წლით დათარიღებული ცნობა, რომ „ადლერს აფხაზურად ლიაში ეწოდება".[4]

ლიაში (ლია-ში) აშკარად ზანური ტოპონიმია. „-ში" სუფიქსთან დაკავშირებით ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. კოტოში). „ლია" ძველ ქართულში ნიშნავდა საფლობს, ტალახს.[5] საერთოდ „ლია" ფართოდ არის გავრცელებული ქართულის კილო-კავებში, მაგ., ფშაურში აღნიშნავს დატბორილ წყალს, მესხურში – გუბეს, ტბორს, ქიზიყურში – დაღვრილ წყალს, ღვარს, ქართლურში – გუბე-გუბედ დამდგარ წყალზე მიუთითებს და ა.შ.[6]

ცნობილია, რომ სამურზაყანოს (და საერთოდ სამეგრელოს) უძველეს ტოპონიმიკურ ფენას ძველი ქართულის (თუ ფუძე ენის) ლექსიკური ერთეულებიც შემოუნახავს. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა სწორედ ლია. სამურზაყანოში ეს ფუძე ჩანს ორ მიკროჰიდრონიმში: ლიო- ღელეა ოჩამჩირის რაიონში, გაედინება ტლაპოიან ადგილებში და ერთვის ნახვაშის ტბას ილორში, ოლიე – ჭაობნარ — ისლნარია ჭითაწყარის მარჯვენა მხარეს, გალის რაიონში. რადგანაც ლია სიტყვის მნიშვნელობა ამჟამად მეგრულში უცნობია, შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ლიო და ოლიე უძველესი კოლხური (ქართველუ-

---

[1] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 7

[2] ევლია ჩელების „მოგზაურობის ნიგნი". ნ.I, გვ. 101

[3] А.Нордман. Путешествие по закавказскому краю. გვ. 415

[4] Н.Раевский. Обозрение восточного берега Черного моря. გვ. 97

[5] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ნ.I, გვ. 414

[6] ვ. მაღრაძე. ქართველური ჰიდრონიმები. გვ. 50

რი) ტოპონიმებია.[1]

სამეგრელოში იგივე ფუძე ჩანს ენგურისპირა ორი სოფლის სახელწოდებებში: ლია და ანაკლია. ტოპონიმი ანაკლია (ა-ნაკ-ლია) უნდა ავხსნათ როგორც ლამიანი, ტალახიანი მინდორი, ადგილი, ვინაიდან ნაკ//ნაკა მეგრულად ნიშნავს მინდორს, სწორ ადგილს,[2] ხოლო სვანურად ვაკეს.[3]

ამრიგად, მდინარე მზიმთის შესართავთან მდებარე ველის სახელწოდება ლიაში ზანურად იხსნება, აღნიშნავს ტალახიან, ლამიან ადგილს და (ისევე როგორც ლიო, ოლიე, ლია და ანაკლია) სრულიად შეესაბამება აქაურ ბუნერივ პირობებს.

ბაღა. ასე ეწოდებოდა ს. ზვანბას მიხედვით ადგილს და თემს მდინარე მძიმთის ხეობაში, ლიაშის ჩრდილოეთით, სადაც მოსახლეობდა ამავე სახელწოდების აზნაურთა გვარი.[4]

მდინარე ფსოუს შუა წელზე მდებარეობდა მსგავსი სახელწოდების სოფელი ბაღრიფში,[5] ხოლო წანდრიფშში – ბაღითურა[6]. ევლია ჩელები უბიხებისგან დასავლეთით, მთებში, აღნიშნავს აბაზურ თემს ბაღრს.[7]

ზემოთ დასახელებულ ტოპონიმებში აშკარად შეინიშნება „ბაღ" ელემენტი. აღსანიშნავია, რომ მეგრულ-ჭანურად „ბაღუ" ბეღელს ეწოდება.[8] სვანურადაც „ბაღ" ბეღელია.[9] „ბაღუ"-დან მომდინარეობს ტოპონიმები სამეგრელოში ბაღუეთი – მარტვილთან[10] და ნაბაღუ – ჩხოროწყუსთან.[11] ნაბაღუ სიტყვა-სიტყვით მეგრულად ნიშნავს ნაბეღლარს (შდრ., ნაბეღლავი). „ბაღუ"-სთან არის დაკავშირებული ფრინველის, ბეღურას მეგრული სახელწოდება ბაღრე, ისევე როგორც ქართულში „ბეღელი"-დან მომდინარეობს ფრინველის სახელ-

---

[1] პ. ცხადაია. სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. გვ. 105

[2] И. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматиею и словарем. გვ. 489

[3] ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. გვ. 611

[4] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 7-8

[5] იქვე, გვ. 9

[6] А.Нордман. Путешествие по закавказскому краю. გვ. 414

[7] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". ნ. I, გვ. 106

[8] ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. გვ. 151

[9] ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. გვ. 144

[10] გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. გვ. 107

[11] გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია. ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი. გვ. 49,80

წოდება ბელურა.[1] აფხაზურშიც ბელურას აბაღრეი ჰქვია.[2] აშკარად ჩანს, ეს სიტყვა აფხაზურში მეგრულიდანაა შესული.

ს. ზვანბას მიერ აღნიშნული, „ბაღაში მოსახლე ამავე სახელწოდების აზნაურთა“ გვარის სახელი ბაღბა უნდა ყოფილიყო. საქართველოში მსგავსი გვარებია: ბაღაშვილი და ბაღათურია. ეს უკანასკნელი მეგრულად იხსნება როგორც ბაღას მოდგმა, შთამომავლობა. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულია ასევე გვარი ფაღავა, რომელიც „ბაღუაში“-დან უნდა მომდინარეობდეს.[3] ამ გვარსახელებშიც აშკარად ჩანს ძირი ბაღ.

ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ჯიქეთის „ბაღ“ ძირიანი ტოპონიმები: ბაღა, ბაღრს, ბაღრიფში და ბაღითურა ეტიმოლოგიურად დაკავშირებული იყოს ზანურ-სვანურ სიტყვა „ბაღუ“//„ბაღ“-თან და რომ მათ საქართველოში გავრცელებულ მსგავს ტოპონიმებთან ერთად საერთო ძირი ჰქონდეთ.

ხამიში. ამგვარად ეწოდებოდა ძველად მდინარე ხოსთას[4] და მის ნაპირას მდებარე სოფელს.[5]

„ხამიში“ ადიღურ ტოპონიმურ ლექსიკონებში[6] განმარტებული არ არის. საფიქრებელია, რომ ის ნანარმოებია მეგრულ-სვანური გეოგრაფიული სახელწოდებებისთვის დამახასიათებელი „-ში“ სუფიქსით (შდრ. ოდიში, ადიში, ქუთეში...). რაც შეეხება ტოპონიმის ძირს „ხამი“, ის შეიძლება დავუკავშიროთ ხობთან ახლოს მდებარე სოფლის სახელწოდებას „ხამისკური“. ამ უკანასკნელში სკური/სქური მეგრულად ნიშნავს ტყიან წყაროებიან (ან მდინარიან) ხეობას, ფართო ხევს და ლანდშაფტურ – ოროგრაფიულ – ჰიდროგრაფიული ტერმინია.[7] ამდენად, „ხამიში“ და „ხამისკური“ ერთიდაიგივე ძირიდან წარმოქმნილი ტოპონიმები უნდა იყოს. გამოსარკვევია მხოლოდ მათი ძირის, ხამის მნიშვნელობა.

მასაიტიკე. ფლავიუს არიანეს და მის პერიპლუსზე დაყრდნობით V საუკუნის ანონიმსაც სანიგეთში, მდინარე აქეუნტიდან აღმო-

---

[1] ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. გვ. 107-108

[2] ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. გვ. 63

[3] ო. სოსელია. ნარკვევები..., II, გვ. 187

[4] Л.Люлье. Общий взглядь на страны... გვ. 182

[5] С. Званба. О Гагре и Джигетах. გვ. 6

[6] Дж. Коков. Адыгская (черкесская) топонимия. გვ. 273, 285, К. Меретуков. Адыгейский топонимический словарь. გვ. 225

[7] ჰ. ცხადაია. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. გვ. 101

საველეთით, სამოცი სტადიონის დაშორებით აღნიშნული აქვთ მდინარე მასაიტიკე.[1] სავარაუდოდ ეს უნდა იყოს მდინარეებს შახესა და სოჩას შორის ჩამავალი ყოობჟე.[2]

სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად საფუძვლიანად არის მითითებული, რომ პტოლემაიოსის და V საუკუნის ანონიმის მიერ მოხსენიებულ „ეკრიტიკე"-სა და „სტენიტიკე"-ში ქართული სატომო სახელები ეგრი და ცანი (თუ წანი) ფიგურირებენ.[3] თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მსგავსი აგებულებისაა „მასაიტიკე"-ც, არ გამოვრიცხავთ მის ასევე რომელიმე სატომო სახელიდან მომდინარეობას. ჩვენი მოსაზრებით „მასაიტიკე" დაკავშირებული უნდა იყოს ეთნონიმთან „მოსხი", რომლის ერთ-ერთ ფორმას, თუ არქეტიპს „მასხი" წარმოადგენდა.[4]

მოსხები ანტიკური ხანის წყაროებში მრავალგზის არიან მოხსენიებულნი სამხრეთულქართულ ტომთა შორის. ფიგურირებენ ისინი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც. მაგ., ძვ. წ. V საუკუნის ავტორის ჰელანიკე მიტილენელის მიხედვით „კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები, ზემოთ კი კორაქსები."[5]

სტეფანე ბიზანტიელის (VIს.) „ეთნიკა"-ში დაცული ეს ცნობა კისლინგს ასე აქვს გამართული – „კერკეტებს ზემოთ ცხოვრობენ მოსხები და ქარიმატები, ხოლო ქვემოთ ჰენიოხები და კორაქსები"[6].

იმავე „ეთნიკა"-ში შემონახულია ფრაგმენტი პალეფატეს (ძვ.წ. IVს.) „ტროიკა"-დან - „კერკეტებს ესაზღვრებიან მოსხები და ქარიმატებმა ხელთ იგდეს პართენიონი ევქსინის პონტოსთან."[7]

პალეფატეს ცნობაზე დაყრდნობით ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ავტორი აღნიშნავს მცირე აზიაში მცხოვრებ მოსხებს, ვინაიდან წყაროში ფიქსირებულია ბერძნულ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად ცნობილი მდინარე პართენიონი (პაფლაგო-

---

[1] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა...., გვ. 52, 92

[2] Ф.Брун. Восточнй берег Черного моря ..., გვ. 258

[3] ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი..., გვ. 6, პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 153

[4] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 392. გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა ... გვ. 69

[5] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა". – გეორგიკა, III, გვ. 289

[6] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 87

[7] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა" – გეორგიკა, III, გვ. 289

ნიაში), სავარაუდოდ მდინარე კოჯა-ირმაკი.[1]

ჩვენი მოსაზრებით, პალეფატეს ცნობა, მიუხედავად იმისა, რომ ის მეტად ზოგადი და ბუნდოვანია, ისევე როგორც ჰელანიკესი, სრულებით არ არის მოსხთა მცირე აზიაში მოსახლეობის დამამტკიცებელი. წყაროში კარგად ჩანს ერთი მხრივ კერკეტებისა და მოსხების მოსაზღვრეობა, მეორე მხრივ – ქარიმატების ღვაწლი პართენიონთან. კერკეტებისა და მოსხების მოსაზღვრეობა ჩანს ჰელანიკეს ცნობაშიც, ხოლო კერკეტები ანტიკური ხანის ავტორთა (ფსევდოსკილაქსი, არტემიდორე, სტრაბონი, პტოლემაიოსი, V ს. ანონიმი...) თანახმად სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე მითითებულია, რომ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობებში მოსხების მეზობლად დასახელებული ტომები: კერკეტები და კორაქსები ზოგჯერ იხსენიებიან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. კერძოდ, კერკეტები ამ მხარეში ფიქსირებულია სტრაბონის გეოგრაფიაში, ხოლო კორაქსები – პლინიუსისა და პომპონიუს მელას ცნობებში. ამიტომ არ უნდა იყოს გამორიცხული, ამ ავტორთა მონაცემებით მოსხები რომ სამხრეთით ბინადრობდნენ.[2]

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ გვინდა შევნიშნოთ – სტრაბონის გეოგრაფიაში კერკეტები, ჰენიოხთა ერთ-ერთი ტომი, სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არიან მოხსენიებულნი,[3] ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში აღნიშნულია „აპაიტები, უწინდელი კერკიტები“,[4] და არა კერკეტები. რაც შეეხება პლინიუსისა და პომპონიუს მელას მონაცემებს, თუ მათ ნაშრომებში კორაქსის მთა ფიგურირებს მდინარე მტკვრის სათავეებში, კორაქსთა ტომი ამავე ავტორებს ისტორიული კოლხეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ეგულებათ.[5]

არსებობს კიდევ ერთი ცნობა, კურციუსის (Iს.), რომელშიც სამხრეთულქართულ ტომთა; მოსინების და ხალიბების მეზობლად დასახელებულია კერკეტები,[6] მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პლინიუსი-

---

[1] ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნო-კულტურული ისტორიიდან. გვ. 24

[2] ო. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველო სტრაბონის გეოგრაფიაში. გვ. 121

[3] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 111

[4] იქვე, გვ. 203

[5] В. Латышев. Известия..., т.II, в.I გვ 118, 179

[6] იქვე, გვ. 128

სა[1] და პომპონიუს მელას,[2] მით უფრო სტრაბონის,[3] ქსენოფონტეს[4] და ფსევდო-სკილაქსის[5] ცნობებს, რომელთა მიხედვითაც მოსინების (იგივე მასინების, მოსინიკების ანუ სანების) და ხალიბების (იგივე ხალდების, ქალდების) გვერდით მუდამ ტიბარენები არიან მოხსენიებულნი, შეიძლება ითქვას, რომ კერკეტების ფიქსაცია მოსინთა და ხალიბთა გვერდით აშკარად კურციუსის შეცდომაა.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობების მოსხების მეზობელი კერკეტები, ჰენიოხები და კორაქსები ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსის თანახმად სწორედ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ.[6] გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრება, რომ ქარიმატების განსახლების არეალიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაშია საძიებელი.[7]

„ჩრდილოელ" მოსხთა შესახებ ცნობა დაცულია სტრაბონის „გეოგრაფია"-შიც – „მითრიდატეს ამბების აღმწერნი, რომელთაც მეტად დაეჯერებათ, ამბობენ, რომ ჯერ არიან აქეელები, შემდეგ ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთეიროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიონთან."[8]

ტექსტის ამ თარგმანში, რომელიც თ. ყაუხჩიშვილს ეკუთვნის, რამდენადმე გაუგებრობას იწვევს, თუ რას ნიშნავს ტომთა ჩამოთვლისას ჰენიოხებთან „კვლავ კერკეტები". თვით ბერძნული ტექსტის გაცნობის შემდეგ გამართულად მიგვაჩნია ამ ადგილის ლატიშევისეული თარგმანი – „მითრიდატეს საქმეთა ისტორიკოსები, რომელთაც უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ, ჯერ ასახელებენ აქეებს, მათ შემდეგ ზიგებს, მერე ჰენიოხებს, შემდეგ* კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს, მათ ზემოთ – ფთეიროფაგებს, სვანებს და კავკასიის მთებთან მცხოვრებ სხვა პატარა ტომებს."[9]

---

[1] იქვე, გვ. 178
[2] იქვე, გვ. 117
[3] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 203
[4] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი". გვ. 106
[5] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., I გვ. 50
[6] იქვე, გვ. 47-48
[7] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და...,გვ. 21
[8] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 120
* ე.ი. ტექსტში ჰენიოხებთან უნდა იყოს სიტყვა შემდეგ და არა კვლავ – კ.ო.
[9] В. Латышев. Известия.... ВДИ. 1947, №4,გვ. 214

ამრიგად, ჰელანიკეს, პალეფატეს და „მითრიდატეს ისტორიკოსთა“ ცნობებით მოსხები ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსახლეობდნენ.

ისტორიოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია იმ გარემოებაზე, რომ ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობათა არასრული დამთხვევის გამო მათი სათავე სხვადასხვა წყაროშია საძიებელი. უფრო მეტიც, „მითრიდატეს ისტორიკოსთა“ ცნობაში წარმოდგენილი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობის შედგენილობა ნათლად მოწმობს, რომ უნდა არსებულიყო სხვა წყარო, რომელიც მოსხების ჩრდილოეთში ბინადრობას ადასტურებდა. ასე რომ ამის შესახებ ძვ.წ. V საუკუნიდან მაინც ძვ.წ. I საუკუნემდე რაღაც გაბმული საისტორიო ტრადიციის არსებობაა სავარაუდო.[1]

ჰელანიკეს, პალეფატესა და მითრიდატეს ომების ისტორიკოსთა ცნობებში განსხვავება (მაგ., მითრიდატეს ომების ისტორიკოსთა მიერ კერკეტების, მოსხებისა და ჰენიოხების გვერდით ჰელანიკესეული კორაქსების ნაცვლად აქეელების, ზიგებისა და კოლხების დასახელება) მასზე მეტყველებს, რომ მათი ცნობები ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ წყაროებს წარმოადგენენ, ხოლო ამ ცნობებში არსებული მსგავსებანი (მაგ., სამივეგან მოსხები კერკეტების მეზობლებია) იმის მანიშნებელია, რომ მათ ავტორებს სხვადასხვა წყაროს გარდა ერთი საერთო ძველი წყაროთიც უსარგებლიათ. ამ წყაროს ავტორი უცნობია. უცნობია ისიც, თუ რა ცნობას ეყრდნობოდა ეს ავტორი, როდესაც მოსხებს კერკეტების გვერდით ათავსებდა. თუმცა ამგვარი წყაროს არსებობა სავსებით დასაშვებია, რადგან იგი სხვადასხვა დროის სამ ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ თხზულებაშია დადასტურებული.[2]

აქვე გასათვალისწინებელია ისტორიოგრაფიაში არსებული შენიშვნა. კერძოდ, ჰელანიკეს და პალეფატეს არ ეკუთვნით ცნობები მოსხების შესახებ. ესენი გაცილებით უფრო გვიანდელია, სტეფანე ბიზანტიელმა შეცდომით მიაწერა ადრე ანტიკური ხანის ავტორებს და რომ ამ ცნობებს მითრიდატეს ომების ისტორიკოსებისაგან მომდინარე ტრადიციასთან ერთად აშკარად საერთო სათავე აქვთ.[3]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება ჩრდილოელი მოსხების სავარაუდოდ აფხაზეთის მთაგორიან ადგილებში მოსახლეობის შესახებ, რითაც უნდა იყოს გამოწვეული მეტად სანდო

---

[1] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და..., გვ. 22

[2] ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. გვ. 13-15

[3] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 87

ავტორთა (ფსევდო-სკილაქსი, არტემიდორე, სტრაბონი...) მიერ მათი ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოუხსენიებლობა.[1]

„მითრიდატეს ისტორიკოსთა“ ცნობებში, რომლებსაც ხშირად იყენებს თვით სტრაბონი, მოხსენიებულნი არიან უშუალოდ ზღვის სანაპიროზე და ამავე სანაპიროზე მოსახლე ტომთა; აქეელების, ზიგების, ჰენიოხების, კერკეტების და კოლხების გვერდით. ამდენად, ის გარემოება, რომ ზოგი ავტორი ამ ტომთა შორის მოსხებს აფიქსირებს, ზოგიც არა, უპირველეს ყოვლისა უნდა ავხსნათ მათი ურთიერთშერწყმის, ასიმილაციის პროცესით.

განსაკუთრებულ ინტერესს მაინც ის გარემოება იწვევს, თუ რატომ არ ასახელებს ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსხებს თვით სტრაბონი, რომელიც ამ რეგიონის ეთნოლოგიური ვითარების აღწერისას ძირითადად მითრიდატეს ომების ისტორიკოსთა ცნობებს ეყრდნობა. მას რამდენჯერმე ყავს დასახელებული აქაური ტომები ამ თანმიმდევრობით: „აქეელები, ზიგები, ჰენიოხები“.[2] ერთგან კი უფრო დაწვრილებით გადმოგვცემს, რომ „ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ბოსფორის სამეფოს აზიური ნაწილი და სინდიკე, მის შემდეგ ცხოვრობენ ახეები, ზიგები, ჰენიოხები, კერკეტები და მაკროპოგონები. მათ ზემოთ მდებარეობს ფთეიროფაგების ვიწრობები. ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხეთი, კავკასიისა და მოსხების მთებს შორის“.[3]

ამ თარგმანში, რომელიც ვ. ლატიშევს ეკუთვნის, გაუგებარია, როგორ ესაზღვრებოდნენ ჰენიოხები კოლხეთს. სტრაბონს ხომ ფთეიროფაგების გარდა ზღვისპირა ტომები ყავს ჩამოთვლილი. აშკარად ჩანს, გამართულია იგივე ტექსტის თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი – „... ზღვასთან აზიის მხარეზე მყოფ ქვეყანათა შორის არის სინდიკე. ამის შემდეგ აქეელები, ზიგები, ჰენიოხები – კერკეტებიც და მაკროპოგონებიც. ამათ ზემოთ მდებარეობს ფთეიროფაგების ვიწრობები. ჰენიოხების შემდეგ მდებარეობს კოლხეთი კავკასიისა და მოსხების მთებს შორის.[4]

სტრაბონი არსებითად იმეორებს მისსავე „გეოგრაფიაში“ დაცულ მითრიდატეს ამბების აღმწერთა ცნობას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ: I. სტრაბონს კერკეტების მოსაზღვრედ მოსხების ნაცვლად ფიქსირებული ყავს მაკროპოგონები, II. მაკროპოგონებიც და

---

[1] მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 18

[2] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 118, 225

[3] В. Латышев. Известия..., ВДИ. 1947, №4. გვ. 209

[4] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 111

კერკეტებიც ამავე ავტორის თანახმად ჰენიოხური ტომებია.

მაკროპოგონი ნიშნავს გრძელწვერას. როგორც ჩანს, სახელწოდებას საფუძვლად დაედო მსგავსი ჟღერადობის რომელიღაც ადგილობრივი სატომო სახელი. ამ მხრივ აღსანიშნავია ფსევდო-სკილაქსის[1] და პლინიუსის[2] მიერ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მაკროკეფალების ანუ გრძელთავიანების მოხსენიება, რომლებიც V საუკუნის ანონიმის თანახმად მაკრონები იყვნენ.[3] V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსის ცნობა სრულიად რეალურია, ვინაიდან ფსევდო-სკილაქსისა და პლინიუსის მაკროკეფალები დაახლოებით იმავე რეგიონში არიან მოხსენიებულნი, სადაც ქსენოფონტეს,[4] სტრაბონისა[5] და ფლავიუს არიანეს[6] მაკრონები. აქედან გამომდინარე, სრულიად საფუძვლიანი ჩანს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომ „მაკროპოგონი"-ც დაკავშირებული უნდა იყოს მაკრონთან.[7]

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებებს, რომ: I. რაც არ უნდა ბუნდოვანი იყოს ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობები, მათში აშკარად ჩანს კერკეტებისა და მოსხების მოსაზღვრეობა, II. მითრიდატეს ომების ისტორიკოსებს კერკეტებსა და კოლხებს შორის მოსხები ყავთ დასახელებული, III. სტრაბონი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნოლოგიური ვითარების აღწერისას ძირითადად სწორედ მითრიდატეს ომების ისტორიკოსებს ეყრდნობა, კერკეტების მეზობლად მოსხების ნაცვლად აღნიშნავს „მაკრონ"-ის მსგავს, როგორც ჩანს, ტომის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნიდან გამომდინარე სახელწოდებას „მაკროპოგონი" – მაშინ არ უნდა იყოს მცდარი ჩვენი ვარაუდი, რომ ამ უკანასკნელში ავტორი სწორედ მოსხებს გულისხმობდა.

მითრიდატეს ომების ისტორიკოსთა ცნობით მოსხები კერკეტებსა და კოლხებს შორის ცხოვრობდნენ. კოლხეთი, სტრაბონის გეოგრაფიის მიხედვით, რომლის ერთ-ერთ წყაროს სწორედ „მითრიდატეს ისტორიკოსთა" ცნობები წარმოადგენს, დაახლოებით ბიჭვინთიდან (პიტიუნტიდან) იწყებოდა.[8]

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება,

---

[1] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., I, გვ. 49
[2] В. Латышев. Известия..., т.II, в.I, გვ. 178
[3] В. Латышев. Известия..., т I, в. I, გვ. 274
[4] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი". გვ. 85-87
[5] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 203
[6] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 42
[7] З.Латышев. Известия..., ВДИ. 1947, №4, გვ. 209
[8] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 120-121

თითქოს მოსხები აწინდელი აფხაზეთის შიდა მხარეში მოსახლეობდნენ და აქ მათი მეზობლები იყვნენ ჰენიოხები, კორაქსები და კერკეტები,[1] უსაფუძვლოა. „მითრიდატეს ისტორიკოსთა“ და სტრაბონის მონაცემების საფუძველზე ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოსხთა განსახლების არეალი საძიებელია ბიჭვინთიდან (საიდანაც დაახლოებით იწყებოდა კოლხეთი) ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ტერიტორიაზე.

რაც შეეხება ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებული მოსხების ეთნიური კუთვნილების საკითხს. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ „მითრიდატეს ისტორიკოსთა“ მოსხებს უნდა შეესაბამებოდეს ფსევდო-სკილაქსის, პომპონიუს მელასა და პლინიუსის მელანქლაინები. გარდა იმისა, რომ მათი საცხოვრისი ემთხვევა ერთმანეთს, სვანურში „მოსხი“-ს მსგავსი სიტყვა „მეშხე“ იმასვე ნიშნავს, რასაც ბერძნულში „მელან“(ე.ი. შავი) საიდანაც წარმოდგება „მელანქლაინი“ ანუ შავსამოსიანი.[2] აღნიშნული ვარაუდი იმითაც არის საინტერესო, რომ დაახლოებით ამავე ტერიტორიაზე პტოლემაიოსს ფიქსირებული ყავს სუანოკოლხები. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია ძვ.წ. VI საუკუნის ლოგოგრაფოსის ჰეკატეოს მილეტელის ცნობა კორაქსებისა და მცირე აზიელი მოსხების შესახებ, რომ ისინი კოლხური ტომები იყვნენ.[3]

ნიშანდობლივია, რომ სამხრეთ საქართველოში, მათ შორის მესხეთში მრავალი გეოგრაფიული სახელწოდება (არტანუჯი, ოშკი, მტკვარი, ოლორი, ფოცხოვი, ტობა, ტოლოში...) შეიძლება მხოლოდ ზანურის მეშვეობით აიხსნას. ასეთი მძლავრი ზანური კვალის არსებობა ამ მხარეში მასზე მიუთითებს, რომ მესხები, თუ ამ უკანასკნელთ მესხეთის უძველეს ბინადრებად ჩავთვლით, ზანური ტომი იყო.[4]

გარდა ამისა, კოლხების მეზობლად, მათგან ჩრდილო-დასავლეთით მცხოვრები მოსხების სახელი ანტიკურ ავტორთა ნაშრომებში გადმოცემულია ფორმით „მოსხი“, რაც სიტყვის მეგრულ-ჭანური გამოთქმაა.[5] ესეც თავის მხრივ ამ ტომის ზანურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტიც, რომ სტრაბონს მითრი-

---

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 137

[2] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა ..., გვ. 83-84

[3] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა“. გეორგიკა. III, გვ. 282

[4] თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და...., გვ. 30

[5] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951. გვ. 392

დატეს ომების ისტორიკოსთა „მოსხი“-ს ნაცვლად ფიქსირებული აქვს „მაკროპოგონი“, რომელიც საფიქრებელია, მეგრულ-ჭანური ერთ-ერთი სატომო სახელის, მაკრონის ბერძნულად გააზრებულ ვარიაციას წარმოადგენს. გარდა ამისა, სტრაბონისავე ცნობით მაკრონი სანების ადრინდელი სახელწოდება იყო, ხოლო დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე, სადაც სტრაბონი მაკროპოგონს, ხოლო მითრიდატეს ომების ისტორიკოსები მოსხებს მოიხსენიებენ, შემდეგში საკმაოდ მძლავრი სანური ტომი, სანიგები დომინირებენ.[1]

ამრიგად, უფრო მართებული იქნება ანტიკური ხანის საისტორიო წყაროებში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მოხსენიებულ მოსხებში მოვიაზროთ არა სამხრეთ საქართველოდან მიგრირებული მესხური ტომები, როგორც არის ეს მითითებული ერთგან სამეცნიერო ლიტერატურაში,[2] არამედ მკვიდრი დასავლურქართული, ზანური (სანური) ან სვანური მოსახლეობის ნაწილი.

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გარდა უძველესი ეთნონიმი მოსხი ქართული ტომების განსახლების არეალის სხვა კუთხეებშიც ფიქსირდება. მაგ., თუ ჰეკატეოს მილეტელი ტომს ამ სახელწოდებით მცირე აზიაში იცნობს, მატიენების მეზობლად,[3] პომპონიუს მელა მოსხებს ალბანელთა მეზობლადაც აფიქსირებს[4] და ამ ცნობას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ლეკები თუშებს მოსექებს, ე.ი. მოსოხებს ეძახიან.[5] სტრაბონის თანახმად კი მოსხების ქვეყანა კოლხეთ-იბერია-არმენიას შუა მდებარეობს[6] და ა.შ.

საისტორიო წყაროებში მოსხების სხვადასხვა ტერიტორიაზე მოხსენიება სრულიად შესაძლებელია მათი გადაადგილებით აიხსნას, თუმცა ჩვენი მოსაზრებით ეს ფაქტი ძირითადად სულ სხვა გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული.

სამეცნიერო ლიტერატურაში „მოსხის“ არქეტიპად, თუ ფონეტიკურ ნაირსახეობად მიჩნეულია „მასხი“ ფორმა,[7] რომლის არსებობა დასტურდება იოსებ ფლავიოსის (Iს.) შემდეგი ცნობით - „მოსოხე-

---

[1] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა...., გვ. 43, 52

[2] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 137. Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 90

[3] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა“. – გეორგიკა, III, გვ. 282

[4] В.Латышев. Известия..., т. II, в. I გვ. 125

[5] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 393

[6] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 125

[7] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა ..., გვ. 69, ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I,თბ., 1951, გვ. 392-393

ნები დაფუძნებულები არიან მოსოხის მიერ. ახლახან მათ კაპადოკიელები ეწოდათ, ხოლო ძველი მათი სახელწოდების ნიშანიც ემჩნევათ, რამეთუ მათ აქვთ დღესაც ქალაქი მაზაკა, რომელიც ნათელ ყოფს იმათთვის, ვისაც შეუძლია გაიგოს, რომ ოდესღაც ასე ეწოდებოდა მთელ ტომს".[1]

მსგავსი ცნობა გააჩნია კონსტანტინე პორფიროგენეტსაც - „კაპადოკიელთა დედაქალაქია კესარია, რომელსაც ეს სახელი დაერქვა დიდი იულიოს კეისრისაგან და რომელსაც წინათ ერქვა მაზაკა, კაპადოკიელთა პირველწინაპრის მოსოხისაგან."[2]

„მას" ძირიანი მასხი ფორმის არსებობას მოწმობს აგრეთვე მოსხებთან დაკავშირებული არარატის მთის ძველსომხური სახელწოდება მასისი,[3] რომელსაც სტრაბონის გეოგრაფიაში მასიონი ეწოდება.[4]

„მასხი"-ს და „მასისი"//„მასიონი"-ს ძირი „მას" თავის მხრივ დაკავშირებულია სიტყვასთან ფასი//ბასი, რომლისგანაც მომდინარეობენ ტოპონიმები: ფასი, ფაზისი, ბასისი, ბასიანი და სხვა.

საერთოდ ქართულში ბაგისმიერი „მ" და „ბ" ბგერათა მონაცვლეობა არც თუ იშვიათია. შდრ. ქართული „მზე" - მეგრული „ბჟა" - ლაზური „ბჟორა"//„მჟორა" - სვანური „მიჟ", ძველი ქართული „მზინვა" - აწინდელი ქართული „ბზინვა",[5] ქართული „ბჟოლა" - ლაზური „მჟოლი"//„ბჟოლი", ქართული „რძე" - ლაზური „ბჟა"//„მჟა", ქართული „კვირადღე" - ლაზური „ბჟაჩხა"//„მჟაჩხა"[6] და ა.შ.

ფასი // ბასი, როგორც უკვე ზემოთ ითქვა, თავდაპირველად ზოგადად მდინარეს, წყალს აღნიშნავდა, რაზედაც მიუთითებს ის ფაქტები, რომ ძველად ფასისი (ფაზისი) რამდენიმე მდინარეს (რიონს, არაქსს, ჭოროხს) ეწოდებოდა. ამ სიტყვის საკუთარ სახელად გადაქცევა მისი ისტორიის შემდგომ ეტაპს უნდა ასახავდეს.[7]

აღნიშნული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ფასი"//„ბასი" - სთან ეტიმოლოგიურად დაკავშირებული სიტყვის „ფშა"-ს განმარტება სულხან-საბა ორბელიანის მიერ - „მდინარისაგან წყარო მუნვე ახ-

---

[1] იოსებ ფლავიოსი. მოთხრობანი...., გეორგიკა, I, გვ. 271

[2] კონსტანტინე პორფიროგენეტი. De thematibus, გეორგიკა, IV, 2, გვ. 299

[3] Н.Марръ. История термина «Абхазъ». გვ. 703

[4] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 141, 186

[5] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 125-127

[6] ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ ქართული შედარებითი ლექსიკონი. გვ. 94, 126, 202

[7] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი". გვ. 125

ლო გამოდენილნი".[1]

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ხშირად ეთნონიმი მომდინარეობს ტოპონიმიდან, რისი ერთ-ერთი მაგალითიც არის „ფასი"-დან ჩამოყალიბებული „ფასიანი", როგორც ეწოდებოდა ადრე ანტიკურ ხანაში ტომებს რიონისა და არაქსის ველებზე,[2] არ გამოვრიცხავთ, რომ „მოსხი"-ც სწორედ წყლის, მდინარის აღმნიშვნელ ძველ სიტყვა ფას // ბას-თან იყოს დაკავშირებული, რასაც უნდა გამოეწვია კიდეც ამ ეთნონიმის არსებობა ქართულ ტომთა განსახლების არეალის სხვადასხვა მხარეს.

მხედველობაშია მისაღები პლინიუსის ცნობაც, რომ მდინარე ფაზისი მოსხების სამფლობელოდან მოედინება.[3] აქ ხომ ეთნონიმი მოსხი დაკავშირებულია ჰიდრონიმ ფაზისთან, იმ მდინარის სახელწოდებასთან, რომელსაც სათავე ფასის მთაში აქვს.

ამრიგად, ეთნონიმი მოსხი ქართულ ტომთა განსახლების არეალის სხვადასხვა კუთხეში ფიქსირდება, მათ შორის ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში. აქ მოსხების სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული ფლავიუს არიანესა და V საუკუნის ანონიმის პერიპლუსებში მოხსენიებული ჰიდრონიმი მასაიტიკე. ამ ორი სახელწოდების ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას იძლევა საისტორიო წყაროებში უძველესი ქართული (მოსხური) ეთნო-ტოპონიმების მაზაკას და მასისი//მასიონი-ს ფიქსაცია, რომელთაც იგივე ძირი გააჩნიათ, რაც მდინარის სახელწოდებას მასაიტიკე.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ მთელ რიგ გეოგრაფიულ სახელწოდებებში წარმოდგენილი ძირი „ბას" არის „მას"-ის ფონეტიკური ნაირსახეობა, სრულიად შესაძლებლად მიგვაჩნია ამავე „მასაიტიკე"-ს ეტიმოლოგიურად დავუკავშიროთ ჰიდრონიმები ბასისი და აბასკი, მით უფრო, რომ ისინი, ე.ი. შახე და მზიმთა ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის დაახლოებით იმავე მხარეში მიედინებიან, სადაც სტრაბონის გეოგრაფიაში (აგრეთვე ჰელანიკესა და პალეფატეს ცნობებში) მოსხებია ფიქსირებული.

სუბაში. XIX საუკუნის რუსულ საისტორიო წყაროებში ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხშირად მოიხსენიება მდინარე სუბაში. მაგ., გენერალ გოლოვინის ერთ-ერთ პატაკში (1839წ.) აღნიშ-

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II, გვ. 207

[2] თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი". გვ. 113-114

[3] В.Латышев. Известия..., т. II, в. I, გვ. 178

ნულია, რომ ის ზღვაში ჩაედინება მდინარე შახეს შესართავიდან ვერსის ჩრდილოეთით.[1] იგივე მდინარეს ჯერ კიდევ XVII საუკუნის 20-იან წლებში აფიქსირებს იტალიელი მისიონერი ჯოვანი და ლუკა.[2] ამავე მხარეში, ოდნავ მოგვიანებით ევლია ჩელები იხსენიებს თემს და აგრეთვე ნავსადგურს ციხესიმაგრითურთ სახელწოდებით „უსუვიში"[3] (ე.ი. სუბაში).

ამრიგად, საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მდინარე შახეს შესართავიდან, ერთი ვერსის ჩრდილოეთით ზღვაში ჩამავალი მდინარე სუბაშის შესართავთან მდებარეობდა ამავე სახელწოდების სოფელი.

ტოპონიმსა და ჰიდრონიმ „სუბაშ"-ში „-აშ"-ი დაბოლოება აშკარად ზანურ-სვანური გეოგრაფიული სახელების მაწარმოებელი სუფიქსი ჩანს (შდრ. წანაში, სასაში, ჭკადუაში...) ამ შემთხვევაში სიტყვის ძირი იქნება „სუბ", ხოლო მისი ფონეტიკური ნაირსახეობა ზუბი დასავლეთ საქართველოში სოფლებს ეწოდება ცაგერისა და ხობის რაიონებში.

„სუბ" ძირთან არის ასევე დაკავშირებული XVII საუკუნის ქართული საისტორიო წყაროებით სამეგრელოში, კერძოდ მდინარე ოქუმის ნაპირას მდებარე სოფლის სახელი სუბვი (სუბ-ვი), უცხოური წყაროების სუბეიში[4] და ანტიკური ხანის ავტორის, დიოდორე სიცილიელის (ძვ.წ. აღ. Ის.) მიერ მოხსენიებული კოლხური ქალაქის სახელწოდება „სგბარისი"//„სუბარისი".[5]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად საფუძვლიანი ჩანს შ. მესხიას ვარაუდი, რომ „დასავლეთ საქართველოში ასე გავრცელებული „ზუბი" იქნებ დასავლურქართული ეთნიური ტერმინიდან მომდინარე გეოგრაფიული სახელი იყოს." იგივე მკვლევარი „ზუბ" ძირთან აკავშირებდა აგრეთვე სახელწოდებას, „ზუბდიდი", რომლითაც XVII-XIX საუკუნეთა საისტორიო წყაროებში ხშირად აღინიშნებოდა ქალაქი ზუგდიდი.[6]

უძველეს ხანაში ამიერკავკასიის სამხრეთით ცნობილი იყო ურარ-

---

[1] Рапортъ ген. Головина гр. Чернышеву. Акты..., т. IX, გვ. 461

[2] Х.Бгажба. Об абхазских племенах и диалектах. გვ. 125

[3] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". I, გვ. 104

[4] კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. გვ. 96

[5] ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა... გვ. 65, შდრ. თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., III, გვ. 91, 194

[6] შ. მესხია. ზუგდიდი თუ ზუბდიდი. გვ. 250

ტუს ერთ-ერთი მხარე სუბი. ს. ჯანაშიას მიხედვით სუბი საკუთრივ ურარტუსგან ჩრდილოეთით მდებარეობდა, ხოლო მისი მოსახლეობა სუბარები მას ქართველთა წინაპარ ტომად მიაჩნდა. გარდა ამისა, დიდი მეცნიერი სახელწოდებას „იბერი“ „სუბარ“-თან და ამ უკანასკნელის მერმინდელ ფორმებთან „სასპერ“//„ჰესპერიტ“-თან აკავშირებდა.[1] თუ ამ თვალსაზრისს გავიზიარებთ, „სუბ“ ძირიანი ტოპონიმები არა მხოლოდ დასავლურქართული არამედ საერთო ქართული უძველესი სატომო სახელიდან მომდინარედ შეიძლება ჩავთვალოთ.

აქვე გასათვალისწინებელია გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმად სუბარები არა ქართული, არამედ ქართველთა მონათესავე ხურითული მოდგმისანი იყვნენ. თუმცა მას დასაშვებად მიაჩნდა, რომ სახელი „სუბარი“ შემდეგში ერთ-ერთ ქართულ ტომზე გადასულიყო. მით უფრო რეალურად თვლიდა ავტორი, რომ სახელწოდება იბერი მომდინარეობდეს სუბარ//სასპერ//სპერიდან.[2]

„სუბ“ ძირიან სახელებთან უნდა იყოს დაკავშირებული ლიხნის ძველი სახელწოდება ზუფუ, რომელიც იყო „სახლი და საყოფელი შარვაშიძისა“.[3] ერთ-ერთი მოსაზრებით „ზუფუ“ უბიხური „ბზიფ“-ის (ბზ – წყალი, ფ- ტოპონიმური სუფიქსი) მეგრული გამოთქმაა,[4] რაც არადამაჯერებელი ჩანს, ვინაიდან არც ბზიფის ხეობაში და არც მისგან საკმაოდ მოშორებით მდებარე ლიხნში (ზუფუში) საისტორიო წყაროებით უბიხთა განსახლება არ დასტურდება.

ამრიგად, ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მდინარის და მისსავე შესართავთან მდებარე ნავსადგურის სახელწოდება სუბაში ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ისტორიულად ცნობილ თუ აწინდელ „სუბ“ ძირიან ტოპონიმებთან.

სონთა. ამგვარად ეწოდებოდა XIX საუკუნეში ერთ-ერთ გადასასვლელსა თუ ქედს მდინარე შახეს ხეობასა და დაგომისის ველს შორის.[5]

ტოპონიმი სონთა ნაწარმოებია ხეობის აღმნიშვნელი აფხაზურჯიქური „-თა“ სუფიქსით. ძირი „სონ“ მომდინარეობს სვანის ადიღური სახელწოდებიდან სონე. ამრიგად, ტოპონიმი სონთა შეიძლება გა-

---

[1] ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა..., გვ. 60-61, 88

[2] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 165

[3] ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. გვ.784

[4] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების..., გვ. 133

[5] П. Невский. Закубанский край в 1864г. Кавказ. 1868, №101

ვიგოთ როგორც სვანების, ან სვანეთის ხეობა.

დღეს ამავე შახეს ხეობაში ცნობილია გეოგრაფიული სახელწოდება სონჩთხ, რაც ადიღურად სვანეთის ქედს ნიშნავს.[1]

ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ „სონთა"-ს და „სონჩთხ"-ის თავდაპირველი ფორმები უნდა ყოფილიყო „სანთა" და „სანჩთხ„, დაკავშირებული დასავლურქართულ ეთნო-ტოპონიმთან სანა/ზანა. ჩვენი მოსაზრება არ იქნება საფუძველს მოკლებული, თუ გავითვალისწინებთ ანტიკური ხანის ავტორთა; ფლავიუს არიანესა[2] და V საუკუნის უცნობი გეოგრაფოსის[3] ცნობებს, რომელთა თანახმადაც ტერიტორია მდინარე აქეუნტამდე, ე.ი. შახემდე თუ სუბაშამდე სანიგეთს წარმოადგენდა. „სანთა" (აფხაზურ-ჯიქურად სანის ხეობა) აქ ჯიქთა დამკვიდრების შემდეგ უნდა გაფორმებულიყო, ხოლო გვიან შუა საუკუნეებში, როდესაც შახეს ხეობა ადიღური ტომების განსახლების არეალში მოექცა, ამ უკანასკნელებმა ტოპონიმის პირველი ნაწილი, როგორც ჩანს მათთვის ცნობილი სვანების აღმნიშვნელ სახელს „სონე"-ს დაუკავშირეს.

„სონთა"-ს ნაცვლად „სანთა" რომ უნდა ყოფილიყო გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ ადლერთან ცნობილია პატარა მდინარის სახელწოდება ზანთა,[4] რაც ზანის ხეობას ნიშნავს.

ბაგა. V საუკუნის ანონიმის პერიპლუსში ვკითხულობთ - „მდინარე აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე (ახლა უკაცრიელი ჰქვია) ასორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი. ჰერაკლეს კონცხიდან იმ კონცხამდე, რომელზედაც ახლაცაა სიმაგრე, ბაგად წოდებული, ათი სტადიონია.[5]

ანონიმის ცნობებზე დაყრდნობით პ. ინგოროყვა აღნიშნავს, რომ „ციხე-სიმაგრე ბაგა მდებარეობდა მდინარე მაკოფსეს ხეობაში" და რომ „მდინარის თანამედროვე სახელწოდება მაკოფსე, რომელიც ორნაწილედ სიტყვას წარმოადგენს, ჩერქეზულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მაკოს მდინარეს, ხოლო სახელწოდება „მაკო" ჩანს არის გვიანდელი სახენაცვალი ფორმა ამ მდინარის ნაპირას მდებარე ციხის ძველი სახელწოდებისა ბაგა".[6] გარდა ამისა, მკვლევარს შედარებისათვის მოყავს საქართველოში ცნობილი გეოგრაფიული სახელები

---

[1] К. Меретуков. Адигейский топонимический словарь. გვ. 180, 259

[2] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 52

[3] იქვე, გვ. 93

[4] Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. გვ.136

[5] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 93

[6] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 165

„ბაგა“ და „ბაგები“, თუმცა მათ მნიშვნელობას არ განმარტავს.

შესაძლოა პ. ინგოროყვა ცდებოდეს, როდესაც V საუკუნის ანონიმისეულ ბაგას მაკოფსეს ხეობაში ათავსებს და ეტიმოლოგიურად უკავშირებს მას ამავე მდინარის სახელწოდებას, რადგან „მაკოფსე“ ადიღეურ-აფხაზურ ენებში მინდვრის პატარა მდინარეს ნიშნავს,[1] მაგრამ შეუძლებელია მკვლევარს არ დაეთანხმო, როდესაც მდინარე აქეუნტის დასავლეთით ფიქსირებულ ტოპონიმ ბაგას საქართველოში ამავე სახელწოდებით ცნობილ პუნქტებს ადარებს და მას ქართულად მიიჩნევს, ვინაიდან სიტყვა ბაგა ქართულში, ასევე სვანურში გომს ნიშნავს (აქედან ტოპონიმები გომი, ნაგომარი) და ამავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა ის საერთო ქართველურ ფუძე ენაში.[2]

ამავე სიტყვა „ბაგა“-სთან არის დაკავშირებული საქართველოში რამდენიმე ადგილას ცნობილი ტოპონიმი „ნაბაკევი“.[3] ერთ-ერთი სოფელი ამ სახელწოდებით მდებარეობს ენგურის მარჯვენა სანაპიროზე, საისტორიო წყაროების „ნაბაკია“.[4]

აშღა//აშაღალი – მოხსენებული აქვს ოსმალო მოგზაურს ევლია ჩელების, ამავე სახელწოდების აბაზური „ტომის“ მიწაზე.

ბრუნი, რომელმაც ევლია ჩელების ნაშრომის ჰამერისეული ინგლისური თარგმანი რუსულად თარგმნა, სქოლიოში უთითებს, რომ აშაღალის ნავსადგური მდინარე აშეს* შესართავთან მდებარეობდა და რომ სახელწოდება „აშაღალი“-ს მეორე ნაწილი „ღალი“ მეგრულად მდინარეს ნიშნავს.[5]

ტოპონიმთან დაკავშირებით პ. ინგოროყვა წერდა „აშე-ღალის თემის სახელი მომდინარეობს ცენტრის სახელიდან აშე-ღალი. ეს ნავსადგური მდებარეობდა მდინარე აშეს შესართავთან. სახელწოდება მისი ორივე ფორმით (რთული: აშე-ღალი, მარტივი: აშე) მდინარის სახელია, რომლის ნაპირსაც ეს ნავსადგური მდებარეობდა. ხოლო რაკი მდინარეს საკუთარი სახელის სახით ეწოდება მარტივად აშე, რთულ სახელწოდებაში აშე-ღალი, მეორე ნაწილი „ღალი“ ცხადია

---

[1] К. Меретуков. Адигейский топонимический словарь. გვ. 129

[2] ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. გვ. 90

[3] საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. გვ. 122

[4] კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. გვ. 105

* მდინარე აშე ზღვას ჩაერთვის დაბა აშესთან, რომელიც მდებარეობს ლაზარევსკოესა და მაკოფსეს შორის – კ.ო.

[5] Ф.Брун. Путешествие турецкого туриста…. ვ. 19

ნიშნავს თვით ცნებას „მდინარე“. ამიტომაც ბრუნი სავსებით მართალი იყო, როდესაც მან ეს სიტყვა „ღალი“ ქართული წარმოშობისად ცნო და დაუკავშირა იგი მეგრულ სიტყვას „ღალი“. ამრიგად, „აშე-ღალი“ სიტყვასიტყვით ნიშნავს „აშე-ღელე“.[1]

ქ. ლომთათიძის თანახმად, „მდინარე აშეზე ევლია ჩელების მიერ ჩაწერილი ache gali არის ჩერქეზული აშე-ყალა (აშე-ციხე-ქალაქი). „ყალა“ ჩერქეზულში თურქულიდან შეთვისებული სიტყვაა“.[2]

გ. ახვლედიანი საკითხთან დაკავშირებით პ. ინგოროყვას ეთანხმება და ტოპონიმ აშე-ღალის მეორე ნაწილს მეგრულ „ღალი“-ს (ქართ. ღელე) უკავშირებს.[3]

ზემოთ აღნიშნულ ავტორთაგან განსხვავებით ვსარგებლობთ ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნის“ თურქული ტექსტის გ. ფუთურიძის ქართული თარგმანით, რომელშიაც აბაზური თემის აშღილის მიწაზე მოხსენიებულია ნავსადგური აშღა.[4] „აშღა“ შეიძლებოდა მართლაც მიგვეღო თურქული ან ჩერქეზული აშყალას (ე.ი. აშის ციხის) დამახინჯებულ ფორმად, მაგრამ ის ფაქტი, რომ თვით ოსმალო მოგზაური მას აფიქსირებს არა როგორც აშყალას, არამედ – აშღას, გვაძლევს საშუალებას ტოპონიმის მეორე ნაწილი „ღა“ მეგრულ სიტყვა „ღალი“-ს დავუკავშიროთ.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ საქართველოში რამდენიმე ადგილას გვხვდება სოფელი სახელწოდებით „ნოღა“. ამ ტოპონიმებში „ღა“ ელემენტი არის იგივე „ღალი“, რომელიც ასევე ხშირად ფიგურირებს დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში (ჩეღალი, ძგაშღალი, კადარღალი...) „ნო“ – პრეფიქსი ქართული „ნა“-ს შესაბამისია (შდრ. ნაბაკევი, ნაბელღავი, ნაგომარი...). ამრიგად, ნოღა (←ნოღალი) ნიშნავს ნაღელევ, დამშრალი ღელის ადგილს.[5] ეს ფაქტიც იმად გამოგვადგება, რომ ტოპონიმ აშღას ადრინდელ ფორმად აშღალი მივიჩნიოთ, რაც მეგრულად აშის ღელეს, აშის მდინარეს ნიშნავს.

გამოსარკვევია აგრეთვე სახელწოდება აშღას პირველი ნაწილის, „აშ“-ის მნიშვნელობაც. ერთი მხრივ ის შეიძლება დავუკავშიროთ აფხაზების მიერ აბაზთა ნაწილის, ტაფანთელების აღმნიშვნელ სახელწოდება აშეუას, როგორც არის ეს განმარტებული „ადიღურ

---

[1] პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე. გვ. 165

[2] ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების..., გვ. 134

[3] გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის..., გვ. 110

[4] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. I, გვ. 104

[5] ვ. მაღრაძე. ქართველური ტოპონიმებისა და ..., გვ. 19

(ჩერქეზულ) ტოპონიმიაში",[1] მეორე მხრივ არ არის გამორიცხული მისი ეტიმოლოგიური კავშირი ლაზეთის ტოპონიმ აშასთან.[2]

ტუაფსე. XIX საუკუნის I ნახევრიდან საისტორიო წყაროებში ხშირად ფიგურირებს გეოგრაფიული სახელწოდება ტუაფსე. მაგ., დიუბუა დე მონპერეს მდინარე ტუაფსე აღნიშნული აქვს როგორც საზღვარი უბიხეთსა და შაფსუღეთს შორის.[3] მისსავე შესართავთან ცნობილია ქალაქი ამავე სახელწოდებით.

ნ. მარი თავის ნაშრომში „ტერმინ „აფხაზ"-ის ისტორია" მიუთითებს, რომ ტოპონიმი ტუაფსე (ტოაფსე/დოაფსე) მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს აფსუების ადგილს, გამოყოფს რა მასში მეგრულ „დო-" (ტო-) თავსართს, ქართული „სა-" პრეფიქსის შესაბამისს.[4] გარდა ამისა, მას ასევე მეგრულად აქვს ახსნილი გურიის ერთ-ერთი სოფლის სახელი დვაბზუ (დო-აბზ-უ), რომელსაც ხსნის როგორც „აბაზების ადგილი" და მას „ტუაფსე"-სთან აკავშირებს.[5]

შემდეგში ეს მოსაზრება გაიზიარა ივანე ჯავახიშვილმა - „გურიაში არსებობს სოფელი „დვაბზუ", რომლის სახელი ნანარმოებია იმგვარადვე, როგორც „ტუაფსე" (დო-აბზუ – ტუ-აფსე). ორსავე შემთხვევაში „დო" და „ტუ" მეგრული თავსართია, ადგილის აღმნიშვნელი, ხოლო „აბზუ" და „აფსუ" უდრის აფსუას, ესე იგი აფხაზს. მაშასადამე ორივე სიტყვა აფხაზთა მოსახლეობას და სოფელს ნიშნავს და ეს გვიჩვენებს, რომ ერთ დროს ეხლანდელი გურიის მიწა-წყალი აფხაზებსა სჭერიათ."[6]

აღნიშნული მოსაზრება მცდარია. ადიღურ ტოპონიმურ ლექსიკონში[7] და ს. ჯანაშიას მიერ შაფსუღებში მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებში[8] ნათლად არის მითითებული, რომ ტუაფსე ადიღურად ორ წყალს, ორ მდინარეს ნიშნავს და მდინარის სახელი შემდეგ მის შესართავთან მდებარე ქალაქს ეწოდა.

ამრიგად, „ტუაფსე" არა მეგრულად, არამედ ადიღურ ენაზე იხსნება და მას არაფერი აქვს საერთო აფსუებთან, ისევე როგორც გუ-

---

[1] Дж. Коков. Адыгская (черкесская) топонимия. გვ. 144

[2] საქართველოს ისტორიული რუკა. საქართველოს შსსკ-ის გამოცემა. რედ. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1923

[3] Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 88

[4] Н.Марръ. История термина «Абхазъ». გვ.700

[5] იქვე, გვ. 702

[6] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ.429

[7] К. Меретуков. Адигейский топонимический словарь. გვ. 197

[8] ს.ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. გვ. 124

რიის სოფლის სახელწოდებას „დვაბზუ“, მითუმეტეს, რომ გურიაში აფსუათა მოსახლეობა არც ერთი საისტორიო წყაროთი არ დასტურდება, მაშინ როდესაც უამრავი ცნობა გაგვაჩნია ამ მხარეში კოლხთა, ან ლაზთა განსახლების შესახებ.

დვაბზუ, თუ მასში გამოიყოფა მეგრული „დო-“ თავსართი და აბზ (←ბას) ძირი, როგორც ეს მიაჩნდა ნ. მარს, მაშინ ის ეტიმოლოგიურად დაკავშირებული უნდა იყოს არა ეთნონიმებთან აფსუა და აბაზა, არამედ ბას/ფას/ბაშ ძირიან ისეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან, როგორებიცაა: აბაშა, ბაში, ბასიანი, ბასისი, ფასი და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში იმ ფაქტების გათვალისწინებით, რომ: I სტრაბონის გეოგრაფიაში სამხრეთულქართულ ტომთა შორის მოხსენიებულნი არიან ჩერქეზთა წინაპრებად აღიარებული კერკიტები[1] და II. გურია-აჭარაში გვხვდება ჩერქეზულ ტოპონიმებად მიჩნეული „ყვა“ ნაწილაკიანი გეოგრაფიული სახელწოდებები (აგიდაყვა, ბერეყვა, აჭყვა...), გამოთქმულია მოსაზრება ადრეულ ხანაში კერკეტების ანუ ჩერქეზთა მონათესავე ეთნიკური ჯგუფის კოლხეთის სამხრეთ რეგიონში, მდინარე ჭოროხის შესართავთან, მის სამხრეთით და ჩრდილოეთით განსახლებული მეგრულ-ჭანური ტომების, მაკრონსანების მახლობლად ბინადრობის შესახებ.[2]

გვინდა შევნიშნოთ, რომ სტრაბონი ამ ტომს რატომღაც „კერკიტი“-ს სახელით მოიხსენიებს, მაშინ როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში მრავალგზის აქვს აღნიშნული „კერკეტი“, რაც გვაფიქრებინებს რომ ისინი მსგავსი სახელწოდების, მაგრამ სხვადასხვა წარმომავლობის ტომები იყვნენ. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისტორიოგრაფიაში არსებული შემდეგი მოსაზრებაც – „სახელწოდება „კერკეტი“ უდავოდ კავშირშია ეთნონიმთან „ჩერქეზი“, მაგრამ ეს არ გამოდგება მთავარ არგუმენტად იმისათვის, რომ კერკეტები ვაღიაროთ ჩერქეზულ-ადიღური ტომების წინაპრებად. ცნობილია, რომ ერთი ხალხიდან მეორეზე სახელის გადატანა არც თუ იშვიათი მოვლენაა. ამასთან, სახელწოდება „ჩერქეზი“ სრულებით არ არის მათი ადგილობრივი სახელი. „კერკეტი“ სავსებით შესაძლებელია წარმოშობილიყო დასავლურქართული ტომის სახელიდან „ეგრ“. ეს უკანასკნელი ძველ წყაროებში გვხვდება სხვადასხვა ფორმებით, რომლებიც ახლოს დგანან „კერკეტ“-თან. მაგ., ეკრიტიკე –

[1] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 203

[2] მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 16

პტოლემაიოსთან და კეგრიტიკა – პლინიუსთან".[1]

რაც შეეხება გურია-აჭარის „ყვა" ნაწილაკიან ტოპონიმებს, უფრო მართებული იქნება მათი ახსნა არა ჩერქეზული ენით, არამედ ქართულით, ვინაიდან მეგრულში „ყუა" (ყვა) ნიშნავს კიდეს, განაპირას.[2]

ძველი ლაზიკა და სანა//სანია. ძველი ლაზიკა მოხსენიებული აქვს II საუკუნის რომაელ ავტორს ფლავიუს არიანეს – „აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე ას ორმოცდაათი სტადიონია. აქედან ას ოთხმოცი სტადიონია ბორცვამდე, რომელიც იცავს (მოგზაურს) თრასკიული ქარისაგან და ბორეასაგან. აქედან ძველ ლაზიკედ წოდებულ ადგილამდე ას ოცი სტადიონია, აქედან ძველ აქაიამდე – ას ორმოცდაათი."[3] „

იგივე ტექსტს არსებითად იმეორებს V საუკუნის ანონიმიც - „ლაიადან ძველ ლაზიკემდე (სადაც მოთავსებულია ე.წ. ნიკოფსისი, რომლის ახლოს მდინარეა, ახლა ფსახაფსისად წოდებული) ას ოცი სტადიონია, თექვსმეტი მილი. ძველი ლაზიკიდან ძველ აქაიამდე (სადაც არის ახლა ტოფსიდად წოდებული მდინარე) ას ორმოცდაათი სტადიონია, ოცი მილი."[4]

ძველი ლაზიკა, მერმინდელი ნიკოფსისი (ნიკოფსია) მდინარე ნიგეფსუხოს შესართავთან მდებარეობდა,[5] ხოლო ძველი აქაია – მდინარე წოფსინის ველზე.[6]

ამავე მხარეში II საუკუნის ავტორს კლავდიოს პტოლემაიოსს აღნიშნული აქვს ქალაქი ტაძოსი, რაც მკვლევართა ვარაუდით უნდა იყოს ქალაქი ლაძოსი, არიანესეული ძველი ლაზიკა.[7]

ტოპონიმ ძველ ლაზიკასთან დაკავშირებით გ. მელიქიშვილი წერდა: „რაც შეეხება ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში სახელწოდება ძველი ლაზიკის არსებობას. ეს გარემოება კიდევ მოითხოვს ინტერპრეტაციას. ძველი ლაზიკა საისტორიო წყაროებში მხოლოდ ერთხელ იხსენიება (არიანესთან, რომელსაც V საუკუნის ანონიმი იმეორებს) ამიტომ არ შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ ამ ცნობის სიზუსტეში, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ამ მხარეში „ძვე-

---

[1] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 89

[2] И. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (Иверского) языка..., გვ. 421

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 53

[4] იქვე..., გვ. 93

[5] Ф.Брун. Восточный берег Черного моря..., გვ. 259

[6] იქვე, გვ. 260

[7] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 163, ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო". გვ. 43

ლი ლაზიკის" არსებობა დაკავშირებული იყოს ძველი კოლხების პოლიტიკური ბატონობის გავრცელებასთან, ან მათ კოლონიზაციასთან.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ამ მხარეში ტოპონიმის „ძველი ლაზიკის" არსებობა ლაზების ეთნო-კულტურული გავლენით უნდა აიხსნას.[2]

ვფიქრობთ, რომ გეოგრაფიული სახელწოდება ძველი ლაზიკა, ისევე როგორც იქვე ფიქსირებული მეორე ქართული ეთნო-ტოპონიმი სანა//სანია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ჯიქთა დამკვიდრებამდე მოსახლე დასავლურქართულ ტომებთან არის დაკავშირებული.

სანა//სანია XIV-XV საუკუნეთა იტალიელი გეოგრაფოსების ვესკონტის, ბენინკაზის და სხვათა რუკებზე ეწოდებოდა მდინარე ნიგეფსუხოს შესართავთან ახლოს ერთ-ერთ ადგილს, სადაც ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები იყო შემორჩენილი.[3] ამ ტერიტორიაზე გვიან ანტიკური ხანის დასაწყისში ჯიქების დამკვიდრების მიუხედავად, სახელწოდება „სანა" ძველი ლაზიკისგან განსხვავებით დიდხანს შენარჩუნდა და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ადიღური ეთნონიმები ხშირად გეოგრაფიული სახელებიდან მომდინარეობენ, ცხადი ხდება – ის შემდეგში საფუძვლად დაედო ერთ-ერთი ადიღეური სატომო სახელის, „ჟანა"-ს წარმოშობას. ევლია ჩელები XVII საუკუნის 40-იან წლებში სწორედ ამ ადგილებში აფიქსირებს ჟანას ჩერქეზულ ტომს.[4] ინტერესს იწვევს პალასის მიერ XVIII საუკუნის 90-იან წლებში ამ ტომის სახელწოდების გადმოცემა: „შანი ანუ სანი".[5] „სანა"-სგან მომდინარეობს აგრეთვე ადიღური გვარ-სახელი ზანოყო. ცნობილია, რომ ზანოყოები სწორედ ჟანას ტომში ცხოვრობდნენ.[6]

სანა რომ ქართული ეთნო-ტოპონიმია, ნათლად მოწმობს სან//ზან ძირთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელების ფართოდ გავრცელება საქართველოში, (ზანა, ზანათი, ზანაძგა...) განსაკუთრებით სამეგრელოში.[7]

---

[1] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 66

[2] დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის..., გვ. 127

[3] Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. გვ. 87. Frederic Dubois de Montpereux. Voyage.... გვ. 195. Ф.Брун. Восточный берег Черного моря..., გვ. 260

[4] ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". I, გვ. 105

[5] П. С. Паллас. Заметки о путешествиях..., გვ.224

[6] Н.Волкова. Этнический состав населения северного Кавказа. გვ.25

[7] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 12. პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. გვ. 25

როდის უნდა წარმოშობილიყო ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართული ეთნო-ტოპონიმები სანა და ძველი ლაზიკა? საისტორიო წყაროებში მათი პირველად ფიქსაციის დროს (შესაბამისად XIV-XV და II საუკუნეები) ეს მხარე ჯიქებით არის დასახლებული. ე.ი. აქ ქართული ტომების მოსახლეობა, რომლებთანაც დაკავშირებულია „სანა“ და „ძველი ლაზიკა“, გვიან ანტიკურ ხანამდეა სავარაუდებელი.

ქართულ საისტორიო წყაროებში ამ მხარეში ქართული ტომების მოსახლეობის შესახებ ცნობები არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ლეონტი მროველს, რომელიც ეგროსის წილ ქვეყნად აღწერს ტერიტორიას ლიხის მთიდან ვიდრე მცირე ხაზარეთის მდინარემდე, „სადა წარსწუთების წუერი კავკასისა“.[1] სამაგიეროდ ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის ცნობა: „ძველი აქაიიდან ძველ ლაზიკემდე და შემდეგ მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლიკები, მელანქლაინები, მაქელონები, კოლხები, ლაზები, ახლა ძიქები ცხოვრობენ“.[2]

ანონიმის ცნობით გაურკვეველია ამ ტომთა საზღვრები და ისიც, ესენი აქ თანადროულად ცხოვრობდნენ თუ სხვადასხვა დროს. აღნიშნულთაგან ლაზების, კოლხებისა და კორაქსების ეთნოლოგიური ვინაობა უდავოა. ასევე ქართული ტომი იყო მაქელონი, იგივე მაკერონი//მაკრონი. მელანქლაინი ძველი ბერძნულით შავ სამოსიანს ნიშნავდა.[3] ე.ი. ის არ არის სატომო სახელი და საფიქრებელია, რომ ამგვარად ანონიმის მიერ მოხსენიებულ ტომთა რომელიღაც ნაწილი იგულისხმება. ბუნებრივია, არ გამოვრიცხავთ ცნობის უზუსტობასაც, მაგრამ ჩვენთვის ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია V საუკუნის ავტორის მიერ სანიგების მდინარე აქეუნტამდის, ხოლო მისგან დასავლეთით სხვადასხვა ქართული სატომო სახელების ფიქსაცია.

V საუკუნის ანონიმის ერთ-ერთ წყაროს ფსევდო-სკილაქსის (ძვ.წ. IVს.) „პერიპლუსი“ წარმოადგენდა,[4] რომელიც თავის მხრივ ადრე ანტიკური ხანის ავტორების სკილაქს კარიანდელის და ჰეკატეოს მილეტელის ნაშრომებს ეყრდნობოდა.[5] ფსევდო-სკილაქსს კი ჩრდი-

---

[1] ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა..., გვ. 5

[2] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა... გვ. 93

[3] სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა“. გეორგიკა, III, გვ. 281

[4] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 103

[5] თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები..., I, გვ. 23

ლო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, აქაიების შემდეგ დასახელებული ყავს: ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლაინები, გელონები, კოლხები ქალაქ დიოსკურისით.[1]

ფსევდო-სკილაქსისა და V საუკუნის ანონიმის ცნობებით კარგად ირკვევა, რომ აქაელები ძველ აქაიასა და მის მიმდებარე მხარეში ცხოვრობდნენ, ხოლო მათგან აღმოსავლეთით – ჰენიოხები. დაახლოებით მსგავსად აქვს ეს მხარე აღწერილი არტემიდორე ეფესელსაც (ძვ.წ. II-Iს.ს.).[2]

გარდა ამისა, V საუკუნის ანონიმის პერიპლუსიდან ისიც ირკვევა, რომ საზღვარი ჰენიოხებსა და აქაიებს შორის ძველი ლაზიკიდან დასავლეთით, პაგრასთან გადიოდა.[3]

ამრიგად, ფსევდო-სკილაქსის, არტემიდორე ეფესელის და V საუკუნის ანონიმის საკმაოდ სანდო ცნობებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ მხარეში, სადაც შემდეგში საისტორიო წყაროებში ფიქსირდება „ძველი ლაზიკა" და „სანა", შუა და ადრეულ ანტიკურ საუკუნეებში, თუ უფრო ადრეც არა, ჰენიოხები ცხოვრობდნენ.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ჰენიოხთა შესახებ არსებული ვრცელი ლიტერატურის მიმოხილვა, აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს, ამ ტომის ეთნიური კუთვნილების საკითხთან დაკავშირებით ურთიერთ საპირისპიროს, კერძოდ: მკვლევართა ნაწილი ჰენიოხებს აწინდელი აფხაზების ერთ-ერთ წინაპარ ტომად მიიჩნევს,[4] მეორენი მათ, დასავლურქართული, სვანური წარმოშობისად თვლის,[5] ხოლო მკვლევართა მესამე ნაწილს ჰენიოხები ასევე დასავლურქართულ, მაგრამ მეგრულ-ჭანურ ტომად მიაჩნია.[6]

ჰენიოხი რომ ერთ-ერთი ქართული ტომი იყო ნათლად მეტყველებს მათი სახელის წარმოება საერთო ქართული „-ხი" სუფიქსით (შდრ. კოლხი, მესხი, კახი, ჯავახი, დიაოხი).

ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, შესაქმეთა წიგნის IV თავში, სა-

---

[1] იქვე, გვ. 47

[2] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 120

[3] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა.., გვ. 93

[4] З. Анчабадзе. Очерк этнической истории Абхазского народа. გვ. 32; Ш. Иналипа. Вопросы этно-кульурной истории Абхазов. გვ. 187

[5] И. Орбели. Город близнецов..... გვ. 215; Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 91, 93

[6] თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის...., გვ. 72, ბ. გიგინეიშვილი. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის. გვ. 124, მ. ინაძე. აფხაზეთის ძველი მოსახელობა. გვ. 161

დაც აღნუსხულია ადამ და ევას შთამომავლობა, კაენის შვილის სახელი „ჰენოხ" ჭან-მეგრელთა ტომის ჰენიოხების სახელს უნდა უდრიდეს.[1]

ცნობილია, რომ ადამის შთამომავლობის ამ სიებში „შესაქმეთა" წიგნის შემდგენელნი ცდილობდნენ, განპიროვნებული სახით წარმოედგინათ ის ხალხები, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ძველი ებრაელებისათვის.[2]

სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, რომ ჰენიოხთა ეთნარქოსის, ჰენოხის მამის სახელი „კაინ" ეთნონიმ „ჭან"-ის ფონეტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს. „კ"-ს „ჭ"-თი შენაცვლება ჩვეულებრივია ჭანურისათვის, მაგ., ბეღურა ჭანურად არის კახი //ჭახი, თხილის ნედლი ჩენჩო – ჭაკი//ჭაჭი, მკუხე – კოხა//მჭოხა, ტურა – კაფუ //ჭაფუ და ა.შ.[3]

აღსანიშნავია, რომ პროკოფი კესარიელი ჭანეთში იხსენიებს თემს სახელწოდებით ოკენიტი და სოფელს კენას.[4] სახელწოდებებში ოკენიტი (მეგრული „ო" - თავსართით) და კენა შემონახულია კაინის ტომის სახელი.[5] გარდა ამისა, პლინიუსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ხალიბებისა და ტიბარენების მეზობლად აფიქსირებს კაენთა ტომს,[6] რომლებიც, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია იგივე ჭანებია.

მნიშვნელოვანია პლინიუსის მონაცემებიც, სადაც ჰენიოხები ქართულ ტომთა შორის ერთდროულად მოხსენიებულნი არიან მდინარე პიქსიტის გადაღმა, მდინარე აბსართანაც და სევასტოპოლის მიმდებარე მხარეშიც.[7]

იმავე პლინიუსის თანახმად „მდინარე მტკვარს სათავე აქვს ჰენოიხთა მთებში, რომელსაც სხვები კორაქსების მთებს უწოდებენ".[8] ე.ი. ძველ საუკუნეებში ეთნონიმები ჰენიოხი და კორაქსი, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია „კოლა"-სთან, „კოლხ"-თან, და მტკვრის ძველ სახელწოდება „კოროს"-თან, იდენტურნიც ყოფილან.

ამრიგად, ის ფაქტები, რომ: I. ეთნონიმი ჰენიოხი წარმოებულია

---

[1] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 397, 401

[2] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 69

[3] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 32, თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და ... გვ. 128, 130, 134

[4] პროკოფი კესარიელი. De Bello Cothico. გეორგიკა, II, გვ. 186

[5] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 400, 414

[6] В.Латышев. Известия ..., т. II, в. I, გვ. 178

[7] В.Латышев. Известия ..., т. II, в. I, გვ. 178-179

[8] იქვე, გვ. 181

საერთო ქართული „-ხი" სუფიქსით, II. ჰენიოხთა ეთნარქოსის, ჰენოხის მამის სახელი „კაინ" ეთნონიმ „ჭან"-ის ფონეტიკურ ნაირსახეობას წარმოადგენს, III. პლინიუსის „ისტორიაში" ჰენიოხები ფიქსირებულნი არიან მეგრულ-ჭანურ ტომთა შორის ერთდროულად რამდენიმე ადგილას, IV. მთიანეთს, საიდანაც მტკვარი მოედინება, ჰენიოხთა ან კორაქსთა მთები ეწოდებოდა – გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ ჰენიოხი ქართული, კერძოდ ერთ-ერთი მეგრულ-ჭანური ტომი იყო.*

რაც შეეხება თვით ამ ტომის სახელწოდებას. „ჰენიოხი" ბერძნულად გადმოცემული სახელია, რომელსაც ალბათ მსგავსი ჟღერადობის რომელიღაც ადგილობრივი ეთნონიმი დაედვა საფუძვლად.[1] ამგვარი ეთნონიმი უნდა ყოფილიყო „მოქცევაი ქართლისაი"-ს „ჰონი" და ძველი სომხური საისტორიო წყაროების „ჰონქი" (შესაძლოა, ჰონხი, ან ჰონიხი). ჰონები „მოქცევაი ქართლისაი"-ს მიხედვით წარმოშობით ქალდეადან იყვნენ, ხოლო ქალდეა ქართული და სომხური წყაროების თანახმად იგივე ჭანეთია.[2]

ჰენიოხების ეთნიური წარმომავლობის საკითხთან დაკავშირებით ასევე ინტერესს იწვევს ძველი ებრაული და ქართული წყაროების გარკვეულწილად ურთიერთდამთხვევა. კერძოდ, თუ ჰენიოხების ეთნარქოსად გააზრებული შესაქმეთა წიგნის ჰენოხი კაინის, ანუ ჭანის შთამომავალია, იმავე ჰენიოხებად მიჩნეული მოქცევაი ქართლისაის ჰონები წარმოშობით ქალდეთიდან, ანუ ჭანეთიდან არიან.

პლინიუსი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ქართულ ტომთა შორის იხსენიებს სან-ჰენიოხებს.[3] დაახლოებით ამავე მხარეში არიანეს ფიქსირებულ აქვს მაკრონთა და ჰენიოხთა,[4] ხოლო V საუკუნის ანონიმს მაქელონთა და ჰენიოხთა სამეფო.[5] მაქელონი არის ვარიაცია ეთნონიმისა მაკრონი, რომელიც სტრაბონის თანახმად სანების ადრინდელი სახელწოდება იყო.[6]

---

* აღსანიშნავია, რომ სტრაბონის გეოგრაფიაში მოხსენიებული ერთ-ერთი ჰენიოხური ტომი მაკროპოგონი,როგორც ზემოთ ვნახეთ, ვ. ლატიშევის მიხედვით არის იგივე მაკრონი, ხოლო ჰენიოხთა მეორე ტომის სახელი კერკეტი გ. მელიქიშვილის თანახმად შესაძლოა დაკავშირებული იყოს სახელწოდებასთან ეგრი – კ.ო.

[1] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 91

[2] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა..., გვ. 47, 157

[3] В.Латышев. Известия... т. II, в. I„ გვ. 178

[4] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 42

[5] იქვე, გვ. 85, 89, 90

[6] თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. გვ. 203

იგივე მაქელონი V საუკუნის უცნობ გეოგრაფოსს ლაზთა და სხვა ქართულ ტომთა შორის დასახელებული ყავს მდინარე აქეუნტის დასავლეთითაც.[1]

ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ V საუკუნის ანონიმის პერიპლუსში კოლხების ჩრდილოეთით მოხსენიებული მაქელონი არის ფსევდო-სკილაქსისეული გელონი, რომელსაც დამატებული აქვს, შესაძლოა ქართულ ენობრივ სამყაროში შეძენილი, ეთნონიმთა მაწარმოებელი „მ“ პრეფიქსი.[2]

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ანტიკური ხანის ავტორთაგან გელონებს კოლხების მეზობლად მხოლოდ ფსევდო-სკილაქსი აღნიშნავს, ხოლო სხვები ან მეოტიდის ტბასთან (პლინიუსი, პომპონიუს მელა...) ან კიდევ ზღვიდან საკმაოდ შორს, სკვითების ჩრდილოეთით მცხოვრები მელანქლაინებისა და ბუდინების მახლობლად (ჰეროდოტე, პერიეგეტი...)[3], უფრო სარწმუნო ჩანს ჩვენი მოსაზრება, რომ ფსევდო-სკილაქსის პერიპლუსში გელონების შავიზღვისპირეთში, კოლხების მეზობლად ფიქსაცია აშკარად შეცდომაა. საფიქრებელია, რომ ავტორმა აქ რეალურად არსებული ეთნონიმი მაქელონი (მაკრონი) მსგავსი ჟღერადობის, მისთვის და საერთოდ კლასიკური ხანის მწერლობისათვის ცნობილ „გელონ“-ად გადააკეთა. გარდა ამისა, დასავლურქართულ ტომებს; კოლხებს, კოლებსა და კორაქსებს შორის ზანურენოვანი მაქელონების მოსახლეობა უფრო არსებითი ჩანს, ვიდრე სკვითურ-ელინურენოვანი გელონებისა.

ერთი მხრივ პლინიუსის, არიანეს და V საუკუნის უცნობი ავტორის მიერ ჰენიოხების სანებთან დაკავშირება, მეორე მხრივ იმავე უცნობი ავტორის მიერ აქეუნტის დასავლეთით მაქელონთა სახელით სანების ფიქსაცია, გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ამ მხარეში არსებული ეთნონიმები სანი და ლაზი „ჰენიოხ“-მა გადაფარა და ისინი მხოლოდ ტოპონიმებში (ძველი ლაზიკა, სანა) შემორჩნენ.

ამდენად, სრულიად საფუძვლიანია სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრება, რომ „სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებში, სადაც საუბარია ჰენიოხების მრავალსახელწოდებიანობის თუ მრავალტომიანობის შესახებ, კარგად ჩანს ამ ტომის სახელის ქვეშ ძველი ბერძენი ავტორების მიერ მრავალი სხვადასხვა სახელწოდების მქონე წვრილი ტომების მოაზრება. ხოლო წერილობითი წყაროე-

---

[1] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა..., გვ. 93

[2] გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა..., გვ. 83

[3] თ. ყაუხჩიშვილი. ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ. გვ. 8

ბის მიერ ამ ტომების სახელთა მოუხსენიებლობა იმით აიხსნება, რომ კრებითი ეთნონიმი „ჰენიოხი“ ჰფარავდა სხვა დანარჩენ სატომო სახელწოდებებს“.[1]

„სანი“ საისტორიო წყაროებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან ჩნდება,[2] თუმცა ეს სახელი ადრეც იქნებოდა ცნობილი, რაზედაც მიუთითებს ჯერ კიდევ ადრე ანტიკური ხანის ბერძნულ წყაროებში მოსინიკების მოხსენიება. მოსინიკი ბერძნების გადაკეთებული სახელი უნდა იყოს. ადგილობრივ იქნებოდა „მასანიკი“, რომლის ძირია „სანი“. ძველი ბერძნული წყაროების „მოსინიკ“-ში ჭანების ანუ სანების სახელის უძველესი ფორმაა შემონახული.[3]

ეთნონიმი ლაზიც საისტორიო წყაროებში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნიდან ჩნდება,[4] თუმცა, გ. მელიქიშვილის მოსაზრებით, ჯერ კიდევ უძველეს ხანაში ურარტუელები ამ ტომს ლუშას სახელით იცნობდნენ.[5]

ეთნონიმ ლაზს ივანე ჯავახიშვილი ზანების სახელს უკავშირებდა. მისი სიტყვებით - „სახელი ლაზიკა ლაზნიკას მაგიერ (სრული ფორმა იქნებოდა ლა-ზან-იკა) სწორედ „ზანი“-სა, ანუ „ზანიკი“-საგან უნდა იყოს ნაწარმოები. მხოლოდ თავში სვანური ქვეყნიერების აღმნიშვნელი თავსართი „ლა“ უზის. მაშასადამე, ლაზიკა „საზანოს“ ანუ სამეგრელოს ნიშნავს. თვით ტომობრივი სახელწოდება „ლაზი“ აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი.“[6]

იგივე მოსაზრება ჰქონდა გამოთქმული ნ. მარსაც – ეთნონიმი „ლაზი“ არის ელინიზებული ფორმა ზანების ქვეყნის სახელწოდებისა. „ლაზი“ მოდის „ლა-ზან“-იდან, ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა.“[7]

ს. ჯანაშიას ამ მოსაზრების საპირისპიროდ მოჰყავდა შემდეგი არგუმენტები: I. როგორ მოხდა, რომ ზღვისპირა ტომის, სან-ზანების სახელწოდებისათვის ბერძენ - რომაელთა მწერლობამ, ამ დროს (I-II ს.ს. ახ.წ.) უკვე ზანების მიღმა, მთებში მცხოვრები სვანების ტერმინი შეითვისა, და არა თვით სან-ზანების საკუთარი სახელწოდება? II. გა-

---

[1] მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. გვ. 11

[2] მ. ინაძე. ტერმინი „ჭანები“. გვ. 391

[3] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 395

[4] თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. გვ. 220

[5] Г.Меликишвили. К истории древней Грузии. გვ. 366

[6] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951, გვ. 396

[7] ციტირებულია ს. ჯანაშიას ნაშრომიდან თუბალ-თაბალი..., გვ. 26

ნა დამახასიათებელი და ანგარიშგასაწევი გარემოება არ არის ის, რომ ფორმა „ლა-ზან“ დღესაც უცნობია სვანებისთვის და რომ სამეგრელოს ისინი მარტივად „ზან“-ს ეძახიან?[1]

ჩვენი მოსაზრებით ორივე არგუმენტს შეიძლება პასუხი მოეძებნოს. I. ბერძნულ-რომაულ მწერლობას სახელწოდება ლაზან (→ლაზი) უნდა გადმოეღო არა ზანების მილმა, მთებში მცხოვრები სვანებისგან, არამედ ზღვისპირა სვანურენოვანი ტომებისგან (გავიხსენოთ პტოლემაიოსის სუანოკოლხები ლაზებსა და ჰენიოხებს შუა, სტრაბონის სვანები დიოსკურიის ჩრდილოეთით, სვანური ტოპონიმები ცხუმი და გაგრა) II. ფორმა „ლაზან“ დღეს უცნობია სვანურისათვის, მაგრამ ხომ შეიძლება დავუშვათ მისი არსებობა ანტიკურ ხანაში?

„ლაზ“-ის სვანური ლაზანიდან (ლა-ზან ე.ი. საზანო) მომდინარეობას ის ფაქტიც უნდა უჭერდეს მხარს, რომ სვანურის ერთ-ერთ კილოში, როგორც ეს ს. ჯანაშიას აქვს აღნიშნული, თვით სვანეთს „ლა“ პრეფიქსით წარმოებული ლაშუან (ლა-შუან ე.ი. სასვანო) ეწოდება.[2]

ინტერესს იწვევს ნ. ბერძენიშვილის ერთ-ერთი შენიშვნაც, რომ „ძველმა ქართულმა მწერლობამ ლაზიკა არ იცის (ბერძნულის გავლენით იშვიათად თუ მოიხსენიება ხოლმე ლაზია – ისიც ჭანეთის მისამართით) და ბერძნულ ლაზიკეს ეგრისად (კოლხეთის შესატყვისობით) ან სამეგრელოდ გადმოსცემს. მაგრამ ხომ არსებობდა ძველ ქართულში ზან (საზანო რად ღირს) ზანათი და სხვა. სვანურმაც მხოლოდ ზან (ლაზან) იცის.“[3]

ამრიგად, ეთნონიმი ლაზი სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ან ურარტული წყაროების ლუშასთან, ან ზანებისა და მათი საცხოვრისის აღმნიშვნელ სვანურ „ლაზან“//„ლაზანიკ“-თან. თუ ეს უკანასკნელი მოსაზრება საფუძვლიანად იქნა დამტკიცებული, ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივი იქნება ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, სანური (ზანური) ტომების განსახლების არეალში ტოპონიმ სანას და ზანების სახელიდან მომდინარე „ძველი ლაზიკის“ არსებობა.

ანტიკური ხანის შემდეგ ტოპონიმი ძველი ლაზიკა საისტორიო წყაროებში არ მოიხსენიება. უკვე V საუკუნეში, როგორც ეს ანონიმი გეოგრაფოსის ცნობიდან ჩანს, მას ნიკოფსისი ეწოდება.[4] ნიკოფსისი

---

[1] ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი..., გვ. 27

[2] იქვე, გვ. 2

[3] ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. VIII, გვ. 502

[4] ფლავიუს არიანე. მოგზაურობა...., გვ. 93

სახელწოდების ბერძნული გაფორმებაა და მომდინარეობს ადიღური ნიგეფსუხოდან, რაც მეჩხერ, მწირწყლიან მდინარეს ნიშნავს. ე.ი. თავდაპირველად ნიგეფსუხო მდინარის სახელი იყო და შემდეგში ქალაქსაც დაერქვა მისსავე შესართავთან, ამჟამინდელ ნოვომიხაილოკასთან.[1]

****

ამრიგად, ბზიფი-ნიგეფსუხოს შუამდინარეთის ისტორიული ტოპონიმია ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხების შესასწავლად მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს. საისტორიო წყაროებში მოხსენიებულ ამ მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებებში გვხვდება როგორც ქართული ტოპონიმები, მათ შორის ეთნო-ტოპონიმები, ასევე ორნაწილედი ტოპონიმები, რომლებიც ქართულ ელემენტს შეიცავენ. ხსენებული ტოპონიმია გარკვეულწილად ამყარებს იმ საისტორიო წყაროებს, რომლებიც მდინარეებს ბზიფსა და ნიგეფსუხოს შორის აფიქსირებენ ქართულ ეთნონიმებს (კორახი, კოლა, სუანოკოლხი, სანიგი, მოსხი...) ყოველივე ზემოთ აღნიშნული მასზე მიუთითებს, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის საკმაოდ დიდ ნაწილში ჯიქების დამკვიდრებამდის ქართული ტომები მოსახლეობდნენ და რომ ისტორიულად, ისევე როგორც მცირე აზიაში, ჩრდილო - აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთშიც ქართული ტომები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე იყვნენ განსახლებულნი.

[1] Дж. Коков. Адыгская (черкесская) топонимия. გვ. 238, К. Меретуков. Адигейский топонимический словарь. გვ. 136

Koba Okujava

Issues of Historical Toponymy of North-Eastern Black Sea Region

(Summary)

In historical sources of antic an Middle ages numerous Georgian toponyms (e.i. Old Lazika, Sana, Kotoshi...) and ethnonyms (e.i. Sanigy, Suanokolkhi, Moskhi...) are recorded between rivers Bsipy and Nigepsukho.

Above mentioned fact points that i the Age of Antiquity and earlier the vast areas of North-Eastern Black Sea regions were populated by Georgian tribes.

Коба Окуджава

Вопросы Исторической топонимии северо-восточного причерноморья

(Резюме)

В исторических источниках античных и средних веков между рек Бзыбь и Нигепсухо фиксируются много Грузинских топонимов (Древняя Лазика, Сана, Котоши...) и этнонимов (Саниги, Суаноколхи, Мосхи...).

Выше указанное ярко свидетельствует о том, что в античную эпоху и более раннее время в обширной части северо-восточного причерноморья проживали грузинские племена.

ბიბლიოგრაფია

- გ. ახვლედიანი. აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის ზოგიერთი საკითხისათვის. მნათობი, 1957, №2
- ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973
- თ. ბერაძე. „გაგარი" და „უღაღის" განმარტებისათვის. მაცნე . ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1973, 1
- ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ.VIII, თბ., 1990
- თ. გვანცელაძე. ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში. არტანუჯი, №10, თბ., 2000
- ბ. გიგინეიშვილი. ეთნონიმ ჰენიოხის წარმომავლობისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია. 1975, №1
- გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 1962
- კ. გრიგოლია. ილორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. ტ. XIII, თბ., 1943
- ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ. თბ., 1962
- ა. დიაჩკოვ-ტარასოვი. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალიდა კომენტარები დაურთეს ზ. პაპასქირმა და ბ. ხორავამ. თბ., 2003
- ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი". I, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბ., 1971
- გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა. თბ., 1977
- გ. ელიავა, გ. ფარულავა, გრ. შენგელია. ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმიკის კატალოგი. თბ., 1983
- ვ. თოფურია, მ. ქალდანი. სვანური ლექსიკონი. თბ., 2000
- მ. ინაძე. აფხაზეთის ძველი მოსახლეობა. მნათობი, 1992, №2
- მ. ინაძე. ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები. საქარველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, ეთ-

ნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. 1992, №1
- მ. ინაძე. ტერმინი „ჭანები“. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. თბ., 1993.
- პ. ინგოროყვა. გიორგი მერჩულე – ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა. თბ., 1954
- არქანჯელო ლამბერტი. სამეგრელოს აღწერა. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი, მეორე გამოცემა, ლ. ასათიანის წინასიტყვაობით, რედაქციით და შენიშვნებით. თბ., 1938.
- დ. ლეთოდიანი. აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VI ს.ს.-ში. თბ., 1991
- ქ. ლომთათიძე. აფხაზთა ვინაობისა და განლაგების ზოგიერთი საკითხის შესახებ. მნათობი, 1956, №12
- ნ. ლომოური. კლავდიოს პტოლემაიოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნ. 32. თბ., 1955
- ნ. ლომოური. ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან. თბ., 1998
- ო. ლორთქიფანიძე. ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში. თბ., 2010
- ვ. მაღრაძე. ქართველური ჰიდრონიმები. თბ., 2004
- ვ. მაღრაძე. ქართველური ტოპონიმებისა და გვარების წარმოება და ურთიერთმიმართება. თბ., 2006
- შ. მესხია. ზუგდიდი თუ ზუბდიდი. ორიონი, ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1967
- თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბ., 1989
- თ. მიქელაძე. ქსენოფონტის „ანაბაზისი“. თბ., 1967
- თ. მიქელაძე. ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ. 1974
- ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955
- კ. ოკუჯავა. აფხაზეთი XVII საუკუნეში. თბ., 2002
- სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. I. თბ., 1991
- სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. II. თბ., 1993
- მ. სალია. მეთევზეობის ლექსიკა ზანურში. თბ., 2005
- ო. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართვე-

ლოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. II, თბ., 1981
- ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2000.
- ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა ნ. კეჭაღმაძისა. თბ., 1961.
- გ. ქავთარაძე. ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის. თბ., 1985
- თ. ყაუხჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქარველოს შესახებ. თბ., 1957
- თ. ყაუხჩიშვილი. ფსევდო-სკილაქსის ზოგიერთი ცნობის შესახებ. ქართული წყაროთმცოდნეობა. I, თბ., 1965
- თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. I. თბ. 1967
- თ. ყაუხჩიშვილი. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. III, თბ., 1976
- თ. ყაუხჩიშვილი. საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები. თბ., 1976
- თ. ყაუხჩიშვილი. კავკასიის ტომების საკითხისათვის ანტიკური წყაროების მიხედვით. ჰენიოხები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების იტორიის სერია. 1980. №4
- ს. ყაუხჩიშვილი. მისიმიანთა ტომი. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. I. ტფილისი, 1936.
- პ. ცხადაია. მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია. თბ., 1985.
- პ. ცხადაია. ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან. თბ., 1999
- პ. ცხადაია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია. თბ., 2004
- პ. ცხადაია. ათასი მეგრული ტოპონიმი. თბ., 2005
- ა. ჩიქობავა. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. თბ., 1938
- ნ. ხაზარაძე. საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები. თბ., 1984
- ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. I, თბ., 1951
- ბ. ჯანაშია. აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 1954
- ს. ჯანაშია. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. შრომები, II, თბ., 1952
- ს. ჯანაშია. თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. შრომები, III, თბ., 1959

- ს. ჯანაშია. ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიკაში. შრომები, III, თბ., 1959
- ს. ჯანაშია. ექსპედიცია ადიღეს ავტონომიურ ოლქში. შრომები, IV, თბ., 1968
- ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება, II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1959
- საქართველოს ისტორიული რუკა. საქართველოს შსსკ-ის გამოცემა, რედ. ივანე ჯავახიშვილი. თბ., 1923
- საქართველოს გეოგრაფიული სახელების ორთოგრაფიული ლექსიკონი. თბ., 2009
- იოსებ ფლავიოსი. მოთხრობანი იუდაებრივისა სიტყვადასაბობისანი. გეორგიკა, I. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961
- იპოლიტე რომაელი. – იხ. გეოგრიკა, I, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1961
- ევსევი კესარიელი. ქრონიკები. გეორგიკა, I. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცეს და განმარტებები დაურთეს ალ. გამყრელიძემ და ს. ყაუჩხიშვილმა. თბ., 1961
- პროკოფი კესარიელი. De bello gothico. გეორგიკა, II ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1965
- აგათია სქოლასტიკოსი. „იუსტინიანეს მეფობის შესახებ". გეორგიკა III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი, 1936
- სტეფანე ბიზანტიელი. „ეთნიკა". გეორგიკა, III. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. ტფილისი, 1936
- სვიდას ლექსიკონი. გეორგიკა, IV, 2. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952
- კონსტანტინე პორფიროგენეტი. De theMatibus. გეორგიკა, IV, 2. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები და-

ურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952
- З. Анчабадзе. Очерк этнической истории Абхазского народа. Сухуми, 1976
- Х.Бгажба. Некоторые вопросы абхазской топонимики. Труды. I, Сухуми, 1987
- Х.Бгажба. Об абхазских племенах и диалектах. Труды. I, Сухуми. 1987
- Ф.Брун. Путешествие турецкого туриста вдоль по восточному берегу Черного моря. География. Извлечено из Записков Императорского Одесского общества истории и древностей. IX
- Ф.Брун. Восточный берег Черного моря по древним периплам и по компасовым картам. Черноморье. II. Одесса, 1880
- Н.Волкова. Этнонимы и племенные названия северного Кавказа. М., 1973
- Н.Волкова. Этнический состав населения северного Кавказа в XVIII – начале XX века. М.,1974
- Рапорть ген. Головина гр. Чернышеву оть 11-го сентября 1939 года. Акты собранные Кавказскою археографическою комисиею. т. IX, Тифлись, 1884
- Фредерик Дюбуа де Монпере. Путешествие вокруг Кавказа. Сухуми, 1937
- Frederic Dubois de Montpereux. Voyage Autour du Caucase. T.I. Paris, 1839
- С. Званба. О Гагре и Джигетах. - С.Званба. Абхазские этнографические этюды. Сухуми, 1982
- Ш. Инал-ипа. Абхазы. Сухуми. 1965
- Ш. Инал-ипа. Вопросы этно-культурной истории Абхазов. Сухуми. 1976
- И. Кипшидзе. Грамматика Мингрельского (Иверского) языка с хрестоматиею и словарем. ი. ყიფშიძე. რჩეული თხზულებანი. თბ. 1994
- Дж. Коков. Адыгская (черкесская) топонимия. Нальчик, 1974
- В. Латышев. Известия древнихь писателей Греческихь и Латинскихь о Скифии и Кавказе. т.I, в. I, С.П.б, 1893
- В.Латышев. Известия древнихь писателей Греческих и Латинскихь о Скифии и Кавказе. т. II, в. I СПб.1904
- В.Латышев. Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Вестник

древней истории. 1947, №4
- Л.Люлье. Общий взглядь на страны, занимаемыя горскими народами, называемыми: Черкесами (адыге), Абхазами (Азега), и другими смежными с ними. Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества. IV. Тифлис. 1857
- Н.Марръ. История термина «Абхазь». Известия императорской академии наукь. VI серия. №11,СПб, 1912
- Г.Меликишвили. К истории древней Грузии. Тбилиси. 1959
- К. Меретуков. Адигейский топонимический словарь. М., 1990
- П. Невский. Закубанский край в 1864г. Кавказ. 1868, №101
- А.Нордман. Путешествие по закавказскому краю. Журналь министерства народного просвещения. СПБ., 1838, №XI.
- И. Орбели. Город близнецов Диоскурия и племя возниц Гениохов. Журнал министерства народного просвещения. Новая серия. XXXIII СПб., май, 1911
- Петр Симон Паллас. Заметки о путешествиях в южные наместничества Российского государства в 1793 и 1794 гг. - Адыги, Балкарцы и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX в.в.- Составление, редакция переводов, введение и вступительные статьи к текстам В.К. Гарданова. Нальчик, 1974
- Н.Раевский. Обозрение восточного берега Черного моря. Архив Раевских. III. редакция и примечания Б. Модзалевского. СПб. 1910
- Г.Шарвашидзе. Письмо к маркизу Паулучи, от 8-го января 1812 года, Зуфу. Акты собранные Кавказскою археографическою комиссиею. V, Тифлись. 1873

სარჩევი

შესავალი 3

ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ისტორიული ტოპონიმიის საკითხები 8

Issues of Historical Toponymy of North-Eastern Black Sea Region (Summary) 61

Вопросы Исторической топонимии северо-восточного причерноморья (Резюме) 61

ბიბლიოგრაფია 62

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge